# დღეს — სიცოცხლის დიდი საწყისი



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 3 მარტი, 2015 წელი.

№40 (7685)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.




## ერთი სიკვდილის მრავალი ვერსია

②

## როგორც მკვდარს ოყნა, ისე სჭირდებოდა პუტინს ნემცოვის სიკვდილი...

## ნათხოვარი სენსაცია

④



სკანდალი, როგორც ბრძოლის საშუალება

### მეცნიერება-მამულიშვილის სიტყვა

## თუ გაგყიდეს, „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?!“



③

*მე ასეთი ქართველი და საქართველო მიყვარს და არა ისეთი, წინა ხელისუფლებას რომ სურდა და ცდილობდა ერის გადაგვარებას, ანგრევდა და აპარტახებდა ყოველგვარ ეროვნულს, დანგრევის პირას მიიყვანა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია, მთელი რიგი ინსტიტუტები, საამაყო თეატრი და კინოხელოვნება, სახელოვანი ქართული სპორტი და საერთოდ რასაც კი ეროვნული ერქვა.*

## ელდარ შენგელაია: ოღონდ ეკონომიკის მინისტრი კონსტიტუციაში მოვიდეს და სუფრასაც გავუშლით და ვუმღერებთ

⑫

## მაგთიკომი პალიტრა TV-ის კამპანიასთან დაკავშირებით

„სატელევიზიო პაკეტში პალიტრა TV-ის განთავსებისთვის ყოველთვიურად 5 ათასი დოლარის გადახდა მოითხოვეს“, — აცხადებს ქალბატონი ინგა, რომელმაც ძალიან კარგად იცის ან უნდა იცოდეს, რომ ეს თანხა არის არა განთავსების (რეტრანსლაციის), არამედ ცალკე ტექნიკური მომსახურების — „აპლინკის“ (Uplink) — ღირებულება, რომლის განხორციელების ვალდებულება, კანონის შესაბამისად, არ ეკისრება მაგთიკომს.

⑤



⑥

## უძრავი ქონება ლარის გამყარების მოლოდინშია

ბინის მყიდველთა რაოდენობა არნახულად შემცირდა

## დღეს უფრო მეტნი ვართ, ვიდრე შეიძლებოდა, ვყოფილიყავით

როგორია ქვეყნის სოციალური პოლიტიკა?



⑤

### ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები

| | | | |
|---|---|---|---|
| EUR | 1 | ევრო | 2.4315 |
| USD | 1 | აშშ დოლარი | 2.1654 |
| GBP | 1 | დიდი ბრიტანეთის გ/სტ. | 3.3354 |
| RUB | 100 | რუსული რუბლი | 3.5365 |
| AZN | 1 | აზერბაიჯანული მანათი | 2.0722 |
| AMD | 1000 | სომხური დრამი | 4.5492 |
| UAH | 10 | უკრაინული გრივნა | 0.8409 |
| TRY | 1 | თურქული ლირა | 0.8604 |

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..




## აქცია ნაციონალთა ოფისთან

**არასამთავრობო ორგანიზაციები ნაციონალური მოძრაობის ოფისთან პარტიის მიერ 21 მარტს დაგეგმილ აქციას აპროტესტებენ. აქციაში „თავისუფალი თაობა“ და სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზი იღებს მონაწილეობას. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ისინი ნაციონალური მოძრაობის მიერ დაანონსებულ 21 მარტის აქციის გაუქმებას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ამბობენ, რომ ისინი ნაციონალურ მოძრაობას აქციის ჩატარების საშუალებას არ მისცემენ.**

„დღეს გამაფრთხილებელ აქციაზე შევიკრიბეთ, რომ ჩვენ არ დავუშვათ ნაცების მობრუნება. ერთი კვირაა აანონსებენ ნაციონალური მოძრაობის წევრები აქციას მთავრობის გადადგომის მოთხოვნით. ჩვენ მოვითხოვთ გადაიფიქრონ, რაც ჩაფიქრებული აქვთ ნაცებს. წინააღმდეგ შემთხვევაში არაა გამორიცხული კონტრაქცია და ისეთი აქციაც, რომ საერთოდ არ მივცეთ პარტიის წევრებს ამ სოროდან გამოსვლის საშუალება“, — განაცხადა „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელმა ლადო სადღობელაშვილმა.

როგორც აქციაზე მისულმა სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის წევრებმა განაცხადეს, ის რთული ეკონომიკური მდგომარეობა, რაც დღეს საქართველოშია, ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი მმართველობის შედეგია.

აქციის მონაწილეები ნაციონალური მოძრაობის ოფისთან ბანერებით არიან მისულები, რომელზეც წერია: ძირს ნაციონალური მოძრაობა, „არა ნაცკრიმინალებს“, „სააკაშვილი რუსეთის აგენტია“.

## ჩვენი ხელისუფლების პირობებში არ იქნება „7 ნოემბრები და 26 მაისები“



**ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილი აქციის კომენტირებისას განუცხადა, რომლის საპასუხოდაც, ლადო ბედუკაძე რუსთაველის გამზირზე საკუთარ მხარდამჭერებით მისვლას გეგმავს.**

წულუკიანის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით „ფეისბუქზე“ ლადო ბედუკაძის განცხადება არ უნახავს, თუმცა საქართველო, როგორც ძლიერი სახელმწიფო, იცავს ადამიანის უფლებებს, მათ შორის ქუჩაშიც.

„მე არ მინახავს ეს განცხადება. „ფეისბუქზე“ ყოფნის ბევრი დრო არ მაქვს, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ გამოხატვის და შეკრების თავისუფლება ჩვენ ქვეყანაში არის უზრუნველყოფილი. კანონის წინაშე ყველა თანაბარია და ყველა პარტიას აქვს უფლება, გამოხატოს აზრი, მათ შორის, ქუჩაში. ჩვენი ხელისუფლების პირობებში არ იქნება 7 ნოემბრები და 26 მაისები. აქედან გამომდინარე, ყველა მოქალაქემ ხმის გამოხატვის თავისუფლებას უნდა სცეს პატივი. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ძლიერ სახელმწიფოში, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს, მათ შორის ქუჩაშიც და შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც ყოველთვის, მიიღებს ზომებს იმისთვის, რომ როგორც აქციები, ისე კონტრაქციები მშვიდობიან პირობებში ჩატარდეს“, — განაცხადა წულუკიანმა.

◎ ერთი სიკვდილის მრავალი ვერსია

# როგორც მკვდარს ოყნა, ისე სჭირდებოდა პუტინს ნემცოვის სიკვდილი...

**მათ იმათი მოშორება დაიწყეს, ვისაც წლების მანძილზე კვებავდნენ. მათ არ სჭირდებათ ისინი, ვინც ვერ შეძლო მათი გეგმების განხორციელება, რომლებმაც მათ საიდუმლოებები იციან.**

**სახელმწიფო დეპარტამენტი ნემცოვზე არ შეჩერდება, ისინი უფრო შორსაც წავლენ.**



**ბორის ნეცოვის ცხედარი ჯერ გაციებულიც არ იყო, რომ დასავლეთის წამყვანი გაზეთები ლამის ერთნაირი სათაურებით გამოვიდნენ — მოსკოვში, კრემლის კედელთან, ვლადიმერ პუტინის მთავარი კრიტიკოსი მოკლესო!**

შესაბამისი „ქუდით“ იწყება ტელესაინფორმაციო გამოშვებებიც!

მინიშნება გასაგებია — თუ ნემცოვი პუტინის მთავარი კრიტიკოსი იყო, რად უნდა ამას „დიდი მარჩიელობა“, მკვლელობა და „თანაც“ კრემლის კედელთან, პირადად რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით მოხდა!

ამასვე იმეორებენ ჩვენს უკრაინულ დესანტში, კრეტინი სააკაშვილი და საქართველოში დარჩენილი წიკლა წიკლაურები?!

მსგავს ვერსიას აწვებიან საქართველოს პრონაცური ტელევიზიები: „რუსთავი-2“, „ტაბულა“ გასაგებია, მაგრამ „იმედი“?

საწუხაროდ, ერთ დროს ეროვნული იდეოლოგიის ფლაგმანმა ტელეკომპანიამ დიდი ხანია პრონაცურობაში ყველას მოუჯოკრა და ამავე დროს პედერასტული იდეოლოგიის პროპაგანდაშიც არავის უდებს ტოლს ჯაჯანიძის შოუს მეშვეობით!

რასაც „ვულოცავ“ ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს!!!

დავუბრუნდეთ მთავარს...

ჯერ ისედაც რა იყო ე.წ. არასისტემური ოპოზიცია (გივი თარგამაძე რომ გეყოლება დამრიგებლად...), რომელსაც „ბალოტნისაც“ ეძახდნენ და პუტინის მიერ ყირიმის „ახევის“ შემდეგ ხომ საერთოდ პულსი აღარ ესინჯებოდათ. მათ შორის პუტინის „მთავარ კრიტიკოსს“, ბორის ნემცოვსაც.

ეს, რომ ასეა, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ნემცოვის მკვლელობის შემდეგაც კი, მრავალმილიონიან მოსკოვში (?) რაოდენობრივად (სხვადასხვა დათვლებით 25-დან 50 ათასამდე) თუ ვიმსჯელებთ, აშკარად ჩაუვარდათ საპროტესტო აქცია!

(მაგდენი ხალხი (გუგლის დათვლებით 28 ათასი) ვაზაგაშვილის მკვლელობის გამო საქართველოს პატრიოტთა ალიანსის დაძახილზე გამოვიდა მილიონნახევრიან (!) თბილისში...)

ანუ, თუ ეს მკვლელობა, როგორც ვიკილიქსის გმირი ედუარდ სნოუდენი ირწმუნება, ამერიკის სპეცსამსახურებმა განახორციელეს, მავანთა იმედი, რომ ნემცოვის შეწირვით ბოლოს და ბოლოს რუსეთშიც მოახერხებდნენ ვითარების არევას, აშკარად არ გამართლდა!

რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში თვით სნოუდენის ნათქვამის უაპელაციოდ დაჯერება არ შეიძლება, რადგან, ბატონი ნემცოვის ცხოვრების „ასკეტური წესიდან“ გამომდინარე, მისი მკვლელობის სხვა, ე.წ. „ბიტავუხა“ მოტივებიც არ გამოირიცხება!

ერთადერთი, რისი გამორიცხვაც ამ თავითვე შესაძლებელია, ეს სწორედ ვლადიმერ პუტინის კავშირია ამ მკვლელობასთან, რადგან, მართალია, უმცირესი, მიზერული, მაგრამ მაინც არსებობდა თეორიული შანსი დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ოპოზიციის რეანიმაციისა და რუსეთის მაიდანიზაციისა!

აქედან გამომდინარე, რუსეთის პრეზიდენტი სრული იდიოტი უნდა ყოფილიყო, რომ მსგავსი რამ არათუ შეეკვეთა, არამედ გაეფიქრებინა კიდეც!

ისინი კი, ვინც მიუხედავად ამ რკინისებური ლოგიკისა, მაინც თავისას აწვებიან, ან მართლაც ვერ არიან „თავის მატორზე“ და ანდა ვიღაცის დავალებას ასრულებენ...

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თავად რუსეთის, პირადად პუტინის ინტერესებშია ამ საქმის დროული გამოძიება და დამნაშავეთა, უპირველესად, შემკვეთის პოვნა!

ვნახოთ, რა იქნება...

**დავით მხეიძე**

P.S. **ისე შეიცხადეს ამერიკელებმა, როგორ, ნემცოვი ქალაქის ცენტრში მოკლესო, რომ, თითქოს სხვა, მკვლელობებს რომ თავი დავანებოთ, ძმები კენედები ან იგივე მარტინ ლუთერ კინგი, აშშ-ის მეგაპოლისების ცენტრებში კი არა, თითქოს უღრან ტყეში მოეკლათ?!**

**რაც შეეხება პუტინისადმი ბარაკ ობამას მოწოდებას — დროზე და გამჭვირვალედ გამოიძიეთ ეგ საქმეო, რატომ ღმერთი არ გაიცინებს?**

**პრეზიდენტ კენედის მკვლელობის დაბურულ საქმეს მიხედეთ და იქნებ XXI საუკუნეში მაინც უთხრათ მსოფლიოს, თუ ვინ და რატომ მოკლა XX საუკუნეში პრეზიდენტი კენედი, მისტერ ობამა!**

**ისე თუ ბატონი სნოუდენი მართალია, უკრაინაში დესანტირებული თუ თბილისში დარჩენილი ნაცების ლიდერები, ახლავე არიან სატირლები, რადგან, როგორც ედუარდ სნოუდენი ირწმუნება, გოსდეპი ნემცოვზე არ გაჩერდება და გაგრძელება იქნება!**

**დ. მ.**

# მეტალურგიული ქარხანა დახურვის საფრთხის წინაშეა

**შპს „რუსთავის ფოლადის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნუგზარ კაჩუხაშვილის ინფორმაციით, სასამართლო აკრძალვის გამო, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა დახურვის საფრთხის წინაშე დგას.**

ამასთან დაკავშირებით ნუგზარ კაჩუხაშვილმა და შპს „რუსთავის ფოლადის“ ადვოკატმა გოჩა გოგიშვილმა პრესკონფერენცია გამართეს. მათი ინფორმაციით, 24 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ლაშა ქოჩიაშვილის გადაწყვეტილებით „რუსთავის ფოლადს“ აეკრძალა ათეულობით მილიონის ღირებულების უძრავ-მოძრავ ქონებისა და წიდასაყარის გამოყენება.

ნუგზარ კაჩუხაშვილის ცნობით, „რუსთავის ფოლადი“ იძულებული შეიქმნა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დასაქმებული 360 ადამიანი უვადო, აუნაზღაურებელ შვებულებაში გაეშვა. როგორც დღეს პრესკონფერენციაზე განმარტეს, მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად ეთერ მთვრალაშვილის მოთხოვნა დაასახელა, რომელსაც 2019 წელს სააქციო საზოგადოება „ქართული ფოლადისგან“ მისაღები აქვს 4 553 ლარი და 48 თეთრი. კაჩუხაშვილის განმარტებით, ამავე მოტივით მოსამართლე ქოჩიაშვილმა ბათილად ცნო შპს „რუსთავის ფოლადის“ მიერ სააქციო საზოგადოება „ქართული ფოლადისგან“ მეტალურგიული ქარხნის შეძენის ხელშეკრულებები.

„მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის მიერ ბათილად ცნობილი ხელშეკრულების კანონიერება ერთხელ უკვე დადგენილია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული ორი გადაწყვეტილებით. საგულისხმოა, რომ მაშინაც უზენაესმა სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლე ქოჩიაშვილის გადაწყვეტილებები შპს „რუსთავის ფოლადის“ წინააღმდეგ უსაფუძვლობის გამო. ფაქტიურად, საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქოჩიაშვილი თავისი გადაწყვეტილებებით უზენაესი სასამართლოს კოლეგიას უპირისპირდება და უზენაესი სასამართლოს მიერ კანონიერად აღიარებულ ხელშეკრულებებს ხელმეორედ ბათილად აცხადებს. ამავდროულად, 4 553 ლარსა და 48 თეთრის საკრედიტო მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, კრძალავს მთელი უძრავ-მოძრავი ქონების გამოყენება განკარგვას და ამით ფაქტიურად აჩერებს ქარხნის მუშაობას“, — განაცხადა ნუგზარ კაჩუხაშვილმა.



მისივე განმარტებით, მოსამართლე ქოჩიაშვილმა უარი თქვა მათ შუამდგომლობაზე, რომელიც მოთხოვნილი საკრედიტო ვალდებულებების მოცულობის თანხის სასამართლოს ანგარიშზე დეპონირებას ითვალისწინებდა ქარხნის მუშაობისთვის აუცილებელ აქტივებზე შეზღუდვების ნაცვლად.

როგორც პრესკონფერენციაზე ადვოკატმა გოჩა გოგიშვილმა განმარტა, მოსარჩელე ეთერ მთვრალაშვილი სააქციო საზოგადოება „ქართული ფოლადის“ ბუღალტერი იყო. მისივე განმარტებით, სააქციო საზოგადოება „ქართული ფოლადი“ ამჟამად რეაბილიტაციის პროცესშია. „ქართული ფოლადისგან“ კი „რუსთავის ფოლადმა“ მეტალურგიული ქარხნის აქტივები შეისყიდა. ადვოკატის განმარტებით, რეაბილიტაციის პროცესში „ქართულ ფოლადს“ ჰყავს კრედიტორები და ფულადი მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულება გააჩნია.

ადვოკატის განმარტებით, ეთერ მთვრალაშვილმა სარჩელი ჰიპოთეტური მოსაზრების გამო შეიტანა, რომლის თანახმადაც 2019 წელს „ქართული ფოლადი“ მას თანხას ვერ გადაუხდიდა.

„სარჩელი მიეკუთვნება ისეთ კატეგორიას, როდესაც მიზანშეწონილობა არ იყო რომ სასამართლოს შეზღუდვები დაეწესებინა“, — განაცხადა გოჩა გოგიშვილმა.

№40. სამშაბათი, 3 მარტი, 2015 წელი.



# თუ გაგყიდეს, „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?!“

**„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველმა არ გაიარე, რაა მამული? წინაპართაგან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“**

კაცობრიობის ისტორიაში უთვალავია სახელმწიფოთა შორის სისხლიანი ომები, მიწების მიტაცება, დაპყრობა საკუთარი ტერიტორიების გაფართოების მიზნით. საუკუნეთა მანძილზე ამ ცეცხლოვან გარემოცვაში მყოფმა პატარა საქართველომ ყველაფერს გაუძლო, ყველაფერი გადაიტანა და დღესაც არსებობს, მაშინ როცა უდიდესი სახელმწიფოები გადაშენდნენ, აღარ არსებობენ, საქართველო და ქართველი ერი არსებობს. ერი, რომელიც მუდამ თავდაცვით ომებში იყო, ომობდა, შრომობდა, იღვწოდა, აშენებდა და დაგვიტოვა გმირული ისტორია. ამავე დროს, უდიდესი თვითმყოფადი კულტურა შექმნა. ძველბერძენთა და რომაელთა კარგი წარმოდგენა საქართველოს შესახებ ადასტურებს მის სიდიადეს, რომელიც მითებში ცოცხლობს. საქართველოს კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის შეჰქონდა თავისი წვლილი და დღესაც შეაქვს. ის მტკიცე ნებისა და რწმენის, სიჩაუქის, მაღალი სულიერებისა და სიყვარულის, ტრადიციის მქონე და ჭირთა მთმენი, შემოქმედი და ღირსების მატარებელი ერია. მე ასეთი ქართველი და საქართველო მიყვარს და არა ისეთი, წინა ხელისუფლებას რომ სურდა და ცდილობდა ერის გადაგვარებას, ანგრევდა და აპარტახებდა ყოველგვარ ეროვნულს, დანგრევის პირას მიიყვანა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია, მთელი რიგი ინსტიტუტები, საამაყო თეატრი და კინოხელოვნება, სახელოვანი ქართული სპორტი და საერთოდ რასაც კი ეროვნული ერქვა. მათმა ყალბმა დემოკრატიამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათი საბოლოო სახე ციხის კედლებმა გამოამჟღავნა და წარმოაჩინა. ნაციონალურმა ხელისუფლებამ ქუთაისში მემორიალი ააფეთქა, სიმბოლური სავანე იმ ვაჟკაცებისა, რომლებმაც სამშობლოსათვის სისხლი გაიღეს. ამ ამბავმა ქართველი ხალხის გულისწყრომა და პროტესტი გამოიწვია, მთელი კვირის მანძილზე უცხოური არხები ამ ვანდალიზმზე გადმოსცემდნენ. მაგრამ ამ დიდ ბოროტებას, რომელიც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა, არავინ იხსენებს და დღეები მიაქვს პარლამენტში კურიოზულ თემებზე საუბარს. როცა ერთი კვირა საუბრობენ მოსმენის გასაღებზე, თუ ვის უნდა ებაროს, მივხვდი, რომ პარლამენტი ამაზე არ იმსჯელებს. ამიტომ გადავწყვიტე, საზოგადოებას ვუთხრა, რომ მემორიალის აფეთქება იყო სახელმწიფოებრივი დანაშაული, ამ მემორიალის აფეთქების ჟინმა და სულსწრაფობამ შეიწირა ორი უდანაშაულო ადამიანი, ძეგლის აფეთქების თაობაზე დღევანდელ პარლამენტს სიტყვა არ დასცდენია, ეს ქმედება დღემდე არ შეუფასებია, მაშინ როდესაც, მსოფლიომ იგი შეაფასა როგორც ვანდალური აქტი!

სამარცხვინოა, როცა გაუგონარ დანაშაულს პარლამენტი დანაშაულად არ თვლის. დარწმუნებული ვარ, რომ შეფასებულიყო და თავისი სახელი დარქმეოდა ამ სახელმწიფოს წინაშე ჩადენილ დანაშაულს, ვიღაც თავხედი ინვესტორი ვერ გაბედავდა უძველესი კულტურის ძეგლის — საყდრისის აფეთქებას და არც უყურადღებოდ დატოვებდნენ „ობიექტივის“ ეკრანიდან გაუთავებელ განცხადებებს, რომ ქართული კულტურის ნიმუშები იძარცვება, რის პასუხადაც მხოლოდ დუმილი იყო.

ყველაფერი ეს მოწმობს ქართული კულტურისადმი სახელმწიფოს ზერელე დამოკიდებულებას, როცა საზოგადოება კულტურის მნიშვნელობშს ცოდნას ხელისუფლებისაგან ვერ გრძნობს, ეს უკვე ტრაგედიაა.

სამარცხვინოა ის, რომ დღეს უმრავლესობაში მყოფმა დეპუტატებმა, ოპოზიციაში ყოფნის დროს ნაციონალთა ხელისუფლებას დამნაშავე ხელისუფლებად რომ აცხადებდნენ, ახლა, ასე მგონია, მათ ნაკვალევზე სვლა ამჯობინეს და დაეშვნენ დაღმართში. არ ხედავენ ან ვერ ხედავენ, როგორ იცვლის სახეს ჩვენი ქალაქები და სოფლები, არ ხედავენ თუ ვერ ხედავენ, როგორ აღზევდა ადამიანთა ყველაზე მდაბიო გრძნობები: „მასვი, მაჭამე, მალხინე“, „რასაც შესჭამ, ის შეგრჩება“ მომრავლდნენ ადამიანები, რომელთათვისაც უცხოა სამშობლოს სიყვარული; ყველაფერი ეს უკულტურობამ შვა. არაფრის ცოდნა, არა მორალი, არა კულტურა, იყო წაგებული ომის გამარჯვებულად გამოცხადება და ტაშფანდურზე ზეიმი, ამ დროს ომში დაცემულ მებრძოლთა სხეულები ბრძოლის ველიდან გამოტანილი არ იყო. ამ საქციელმა მსოფლიო გააკვირვა, ჩვენ ეს არ გაგვკვირვებია, რადგან იმ დროს ქარაფშუტობას საზღვარი არ ჰქონდა, ჩვენ გვიკვირს დღევანდელი საქმიანობა, როცა უცხოეთში საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ძებნილ ექსპრეზიდენტთან ერთად იჯდა და არავის აღმოაჩნდა იმის ნება და ღირსება, რომ ეთქვა: **ჩვენი ქვეყანა ამ ადამიანს ეძებს, როგორც დამნაშავეს, უხერხულად ვგრძნობ თავსო და დაეტოვებინა დარბაზი**. ძალიან საწყენია, იქ, სადაც უფრო კულტურა და ღირსება უნდა წარმოჩინდეს, წესისამებრ, იქაც დუმილს ამჯობინებენ. წინა ხელისუფლებამ საქართველოში საზღვრები გახსნა, რამაც საქართველო დიდი საფრთხის წინაშე დააყენა, თბილისში დავით აღმაშენებლის პროსპექტზე უეცრად გაჩნდა ყველაფერი თურქული. ამ მხრივ ბათუმი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. კახეთში ინდოელები გამოჩნდნენ, თბილისში მთელი ერთი უბანი ჩინელებმა „დაიპყრეს“ და ასე შემდეგ. გაიყიდა მიწები, აი, ეს ყველა დანაშაულთა შორის ყველაზე დიდ მზაკვრულ ბოროტებად მიმაჩნია; ხოლო ვინც ამ საქმეს დღესაც მხარს უჭერს და ცდილობს ამ მიწების გასხვისებას, პირდაპირ ვამბობ, მან აბსოლუტურად არ იცის საქართველოს ისტორია, ქართველი ერის არსებობის არსი. ეს ისეთივე ქარაფშუტული გადაწყვეტილებაა, როგორიც იყო რვა აგვისტოს დამარცხებული ომის გამარჯვებულად გამოცხადება. უდიდესი ტერიტორიების მქონე სახელმწიფოები, რომელსაც თვალუწვდენელი ტრამალები ახლავს, ერთ გოჯა მიწას არ ასხვისებენ, ჩვენ რატომ ვიწყებთ მიწის ყიდვა-გაყიდვას და გასხვისებას, იქნებ ჯერ მიტაცებული მიწების დაბრუნებაზე გვეფიქრა, ნახევარი საქართველო გასხვისებულია და რაც დარჩა, იმასაც ვასხვისებთ?! ამ მზაკვრულად შემოგდებულ კანონპროექტს რომ აშალაშინებთ, იქნებ არ ღირს მაგაზე ფიქრი, სანამ საკუთარ მიწებს არ დავიბრუნებთ. ამ პატარა ქვეყანაში, საქართველოში, სადაც არ უნდა დაარტყა ბარის წვერი, ჩაჩქანი, ჯაჭვის პერანგის ნაგლეჯი ან დაჟანგული ხმლის ვადა ამოვარდება. საქართველოში ყოველ ბორცვზე საყდრები და ეკლესიები დგას, ტაძრები და ციხეკოშკები, რომლებითაც მოფენილია საქართველოს ტერიტორია, მსოფლიო მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლებია, რომლებიც მყარად დგანან საუკუნეთა მანძილზე ქართულ მიწაზე და მოგვითხრობენ ამ მიწის ისტორიას.

მე არ მესმის, ქვეყანამ რატომ უნდა გაასხვისოს საკუთარი ისტორია, როგორ უნდა უარყოს ქართულ ნიადაგზე შობილი გენიალური პოეზია, დამწერლობა და საგალობლები, რომლებიც ქართულ მიწას უმღერიან. მიწას, რომელმაც ხუთასი ჯიში ვაზი ახარა; ქართველი კაცისათვის მიწის ბელტები რაღაც ფიზიკური მასა არ არის, იგი გაიგივებულია დედა სამშობლოსთან, დედამიწა, დედასამშობლო. ქართველ კაცს გმირულ ისტორიასთან უწყვეტობამ განუმტკიცა დედასამშობლოს უზომო სიყვარული; გენიალურ გალაკტიონთან ლექსში „ნანა“ დედა უმღერის ჩვილს:

**„რომ დაიცვას**
**დანაშვენი**
**ჩვენი მიწა და ნაშენი**
**ომში არის**
**მამაშენი,**
**ნანა-ნანინა...“**

ამ პატარა ტაეპში ყველაფერია ნათქვამი, რა სიღრმეებიდან მოდის მიწისადმი დამოკიდებულება, ნათლად ჩანს. ქართველი ემიგრანტები უცხოეთში უბის ჯიბეში ატარებდნენ ერთ მუჭა ქართულ მიწას და ეს იყო ნუგეში მშობლიურ მხარესთან სიახლოვისა.

აკაკის გენიალურ ლექსში „განთიადი“ ისმის მგოსნის ვედრება:

**„დედაშვილობას, ბევრს არ გთხოვ,**
**შენს მიწას მიმაბარეო,**
**ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,**
**ჩემო სამშობლო მხარეო...“**

ღვთიური ძალა შესწევს ამ ორი სიტყვით თქმულ სამშობლოს სიდიადეს და მშობლიურ მიწას, რომლის გასხვისებაზე საუბარიც კი ტანში მზარავს. მეტის თქმა ზედმეტი იქნება, ეს შეხსენებაც საკმარისია პარლამენტში მყოფი ჭეშმარიტი მოქალაქეებისათვის, რომლებისთვისაც ყველაფერი აქ ნათქვამი უცხო არაა და არც ახალია. როცა პარლამენტში გაიჟღერა დედის შეურაცხმყოფელმა სიტყვამ, ამან საშინელი რეაქცია გამოიწვია, გახსოვთ, მთელი პარლამენტი — უმრავლესობა თუ უმცირესობა ფეხზე დადგა იმიტომ, რომ დედა შეურაცხყვეს. ამიტომ მჯერა მე ამისა, რომ ამ მზაკვრულ არაეროვნულ კანონპროექტს, რომელიც დედასამშობლოს მიწების გასხვისებას ეხება, პარლამენტში მყოფი ჭეშმარიტი მოქალაქეები ჯეროვნად შეაფასებენ. და თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ უტყუარი იმედია ხალხი და ახალგაზრდობა. ახალგაზრდობა, რომელმაც როცა ქართულ ენას საფრთხე შეექმნა და სახელმწიფო ენად ქართულ ენას კრძალავდნენ, გადაარჩინა იგი; როცა გარეჯის მიდამოებში საბჭოთა ჯარის პოლიგონები არსებობდა, გარეჯი დანგრევისაგან ახალგაზრდობამ გადაარჩინა, პოლიგონი გააუქმებინა; მაშინ, როდესაც ციხის კადრები იხილა, ახალგაზრდობა ქუჩაში გამოვიდა და ამ შეუჩერებელმა ძალამ თავისი სათქმელი და გასაკეთებელი ბრწყინვალედ შეძლო; ამიტომ მჯერა, როცა ქართულ მიწებს გასხვისების საშიშროება ემუქრება, ახალგაზრდობა ამ მზაკვრულ პროექტს წინ აღუდგება და ქართული სისხლით გაჟღენთილ მიწას დაიცავს.

**„მშობლიურო ჩემო მიწავ,**
**შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,**
**გიცავდი და გიცავ მარად,**
**გიცავდი და კვლავ დაგიცავ...“**

**მერაბ ბერძენიშვილი**

**მე ასეთი ქართველი და საქართველო მიყვარს და არა ისეთი, წინა ხელისუფლებას რომ სურდა და ცდილობდა ერის გადაგვარებას, ანგრევდა და აპარტახებდა ყოველგვარ ეროვნულს, დანგრევის პირას მიიყვანა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია, მთელი რიგი ინსტიტუტები, საამაყო თეატრი და კინოხელოვნება, სახელოვანი ქართული სპორტი და საერთოდ რასაც კი ეროვნული ერქვა.**

# ნათხოვარი სენსაცია

**დღეს ხელისუფლება შავ დღეშია. ეს ცხადად ჩანს.**

**თუნდაც იმით, რომ ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ცხრავე თავწაკვეთილი გველეშაპივით ლპებოდა სადღაც მოუსავლეთში, შეინძრა, ფხიზლად დააყურადა, რომ არც მკვდარს და არც ცოცხალს არსაიდან საფრთხე არ ელოდა და წამოიყალყა. ერთ ხანს იბარბაცა და მუხლი მოიმაგრა თუ არა, შეტევაზე გადმოვიდა.**

უკვე აღარ მალავს: ჩვენო, კიდევ ორი წელი ვერ მოვიცდით, გენაცვალეო, ახალ არჩევნებამდე უნდა დავამხოთ ეს ხელისუფლებაო, მერე გაიხედ-გამოიხედავენ და მუქარით დაამატებენ — მშვიდობიანი გზითო.

ხომ წარმოგიდგენიათ რა მშვიდობიანი გზები და საშუალებები ექნებათ შეგულებული გივი თარგამაძეს, გიგა ბოკერიას თუ კაკო ბობოხიძეს. ვაშინერს! ხელისუფლებაში რომ იყვნენ, ჯერ კიდევ მაშინ გვემუქრებოდნენ, სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებოო.

ახლა როცა თვითონ არიან ნაძირლები, უკვე დაიწყეს მასირებული შეტევა საზოგადოებრივ აზრზე, საპარლამენტო ტრიბუნაზე, მთავრობაზე.

ამას წინათ ნაციონალი პარლამენტარები სერგო რატიანი და ზურაბ ჯაფარიძე მთავრობის სხდომაზე შეჭრასაც კი შეეცადნენ. ძალიან გაუკვირდათ, რომ არ შეუშვეს. ჩვენ პარლამენტარები ვართ, ამის უფლება გვაქვსო, აგერ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ჩვენეული გეგმა გვინდა გადავცეთო.

ამან გამახსენა თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას ცდა, გინდა თუ არა, მთავრობის სხდომას „დასწრებოდა“ და ბიძინა ივანიშვილმა გააგდო იქიდან. ისე რომ, ატმოსფეროს გახურების მეთოდებიც კი მეორდება.

მიზანი ნათელია: ხელისუფლების დადამბლავება, მისი ნებისყოფის მოდუნება, შეცდომებამდე მიყვანა და „მათი დროის“ მოახლოება.

მე ასე ვხედავ: ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება ძალიან ჰგავს 2003 წლისას, ოპოზიცია, რომელსაც პირობით ჰქვია ეს მშვიდობიანი სიტყვა, ხანჯალს ლესავს, სარგებლობს საერთო შეჭირვებით და ხალხს აბუნტებს, სისხლს უწამლავს და გონებას უმღვრევს. საკმარისია ერთი ყოვლად არადსაღირალი „კომპრომატი“ მოიგდონ კბილებში, დაუსრულებლად ღეჭავენ, ღეჭავენ, ღეჭავენ, სანამ ბუზს სპილოდ აქცევენ...

არ დაგვავიწყდეს: ნაცები ყველაფერზე წამსვლელნი არიან, ყველა საქმის მკადრებელნი. მათთან კოჰაბიტაცია, არანაირი „აცია“ არ გადის, თანახმანი არიან სამშობლო საბოლოოდ დაღუპონ, ოღონდ დაკარგული საჭე დაიბრუნონ...

ვერ დაუკარგავ: მარჯვედ იყენებენ ნებისმიერ საძრომს. განსაკუთრებით მასობრივი აგიტაციის საშუალებებს, ტელევიზია ხომ პირდაპირ მოირგეს ძიძიგურის ჩოხა-ახალუხივით.

„რუსთავი-2“ რას არ ქექავს, რას არ თხრის, რომ ნაცმოძრაობის სასარგებლო და წასაშველებელი რამ გამოაძვრინოს, ეს რეზინის გიორგი გაბუნია მაინც სად იშოვეს, ასეთი ყველაფერზე წამსვლელი და უტეხი!

არ გამოვრიცხავ: იმ დღეს გაბუნიას იქნებ მართლაც ეგონა, რომ ხელი ოქროს ძარღვზე ედო, ამიტომაც დაგვკიოდა წინა დღეებში ზვიადაურივით, არიქა „არჩევანის“ სამშაბათის გადაცემა არ გამოგრჩეთ, ისეთ სკანდალურ ფაქტებს გაგაცნობთ, დედამიწის ზურგზე ჯერ რომ არავის სმენიაო.

ტელემაყურებელმაც დაუჯერა, თუმცა წესით, არ უნდა დაეჯერებინა, რადგან გიორგი გაბუნიამ (და სხვა „რუსთავ-2“-ელებმა) ბევრჯერ გამოგვავლეს ხვლიკის კუდი პირში — ეს იყო ხოლმე ვითომ სკანდალური, ვითომ დიდმნიშვნელოვანი, არსებითად კი სრულიად ეროვნული მასშტაბის ფშუკე, დედალი ნაცოდვილარები.

იმ საღამოს „არჩევანის“ წამყვანმა ეკრანს ოქრუაშვილის და ხაბურძანიას საიდუმლო აუდიოჩანაწერები ააკრა, რომელიც ქართველ პოლიტიკოსებს (ყოფილ და დღევანდელ თანამდებობის პირებს ) ამხელს ცოდვაში — რუსეთში დაძვრებოდნენ (და ალბათ დღესაც დაძვრებიან) თავიანთი საქმეების ჩასაწყობადო.

დასახელდნენ ალასანია, ბურჯანაძე, სანიკიძე, ჩხარტიშვილი, ოქრუაშვილი და ხაბურძანია — თავისთავად, მათთან საქმიანად დაკავშირებული რუსეთის უშიშროების სამსახურის („კანტორის“) ოფიცრები, ქართულ საქმეებზე მუშაობაში დასპეცებული ვინმე ლიოშა პეტროვა და სხვები...

მოკლედ გამომზეურდნენ ქვემძრომები, რუსეთის კაცები, ყველაფრის მკადრებელნი. ზიზღი და ანათემა მათ!

ამ ნერვებაშლილ, იმედდაცლილ ხალხს მეტი რა უნდა, ოღონდ სავარაუდო დამნაშავე დაანახე და შეუძახე „ჯვარს აცუ ეგე!,“ უმალ გოლგოთაზე გაისტუმრებს. ადამიანთა ბუნებაში ათასწლეულების მანძილზე ბევრი არაფერი შეცვლილა.

ახლაც გამოიკვეთა ვერაგობის სიმძიმე, მაგრამ სენსაციური, თავბრუდამხვევი ღალატის სიმწარე, რატომღაც მალევე გაგალდა. საზოგადოება დაფიქრდა და აღმოაჩინა, რომ მთელი ეს სკანდალური სუპერსიახლე ოდენ ბლეფია.

ჯერ ერთი, ეს აუდიოჩანაწერი ირაკლი ოქრუაშვილ-ვალერი ხაბურძანიასი, მოპოვებული ჰქონია არა „რუსთავი-2“-ს, არამედ გაზეთ „ქრონიკა+“-ის რედაქტორს, ამგვარ საეჭვო აღმოჩენებში გაწაფულ ელისო კილაძეს, რომელიც შემტევად იწონებდა თავს ეკრანზე. თანაც მოპოვების წიაღი ყოფილა არა სადღაც გველებითა და ვეფხვებით დასახლებულ ჯურღმულში, არა გველეშაპის ხახაში, არამედ აქვე, გვერდით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მყუდრო, სტუმართმოყვარე არქივში, სადაც, თურმე, ეს სკანდალური, სენსაციური ჩანაწერები ინახება ჯერ კიდევ „მერაბიშვილის“ დროიდან. და მისი არსებობის ამბავი კარგად იცოდნენ როგორც ნაცების, ისე ქოცების ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

ერთი სიტყვით, მოიპოვა ქალბატონმა ე. კილაძემ (მას მართლაც აქვს უნარი გაძვრეს-გამოძვრეს და რაღაც „სკანდალური“ მოიპოვოს. მაგრამ აქვე ბუნებრივად იბადება კითხვა, როგორ გამოაძრო მან ეს ჩანაწერები შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ბუნებრივია „მისი კაცი“ სამინისტროს არა წვრილფეხა მოხელეებში, არამედ უფრო მსხვილფეხა რქოსნებშია საძიებელი).

სრულიად ბუნებრივად სავარაუდოა, რომ ელისო კილაძისგან ეს მონაპოვარი შეისყიდა, ან ითხოვა, ან გაცვალა „რუსთავი-2“-მა.

კილაძე-გაბუნიას სენსაციური მხილების მოკლე შინაარსი ასეთია: ჩვენი პოლიტიკოსები, ანუ ადამიანები, ვინც პოლიტიკოსებად თვლიან თავს, რაკიღა ოდესღაც ხუთ-ხუთკაციანი პარტიკუნები შეაკოწიწეს, უძაღლო ქვეყანაში კატების აყეფების ჟამს პარლამენტში შეჰყვეს თავი, ქვემძრომები არიან: უკლებლივ ყველანი (საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის ვალერი ხაბურძანიას მტკიცება) ურთიერთობა ჰქონდა მოსკოვთან, „კანტორასთან“, ხშირად ჩადიოდნენ, და საქმეებს აწყობდნენ და ერთმანეთს ასმენდნენ. ვანო მერაბიშვილი და ძმები ახალაიები რუსეთის სპეცსამსახურებს ევაჭრებოდნენ, თუ ჩვენ ადგილებს შეგვინარჩუნებთ, სააკაშვილის დაქნევაში ხელს შეგიწყობთო.



ხაბურძანია იგონებს, 2003 წელს ბიძინა ივანიშვილს შევხვდი მოსკოვში, მაშინ ყველანაირად არიდებდა თავს პოლიტიკაში ჩარევას, მითხრა სახლს ვიშენებ ჭორვილაში და იქ გადავდივარო.

ვიტყობთ, რომ ოქრუაშვილს დიდძალი იარაღი და მანქანები შეუძენია (უკანასკნელი კაპიკები დავხარჯეო!) ოღონდ შემოტანა ვერ მოუხერხებია. შესყიდვები რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ერთ-ერთ ბაზაზე ხდებოდაო. ოქრუაშვილს, ამ საქმეში ბანკირი ვანო ჩხარტიშვილი (რომელზეც ხალხში ბოლმით ლაპარაკობენ, რომ მან თავის დროზე ფული იმით იშოვა, რომ შემნახველ სალაროებში არსებული ხალხის ანაბრები „მოტეხა“) და ყოფილი უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია ეხმარებოდნენ. ის კი არ თქმულა, ამ იარაღს და ტექნიკას საბოლოოდ რა ბედი ეწია, ან საიდან ამდენი ფული ყოფილ მინისტრს, რა, პაპამ დაუტოვა ტყვიავში?

ხაბურძანიამ ტექნიკური საიდუმლოც გასცა, ოქრუაშვილს ვანო მერაბიშვილი უსმენდა ამერიკელთა ტექნიკითო და იქვე ტელემაყურებლები დაბეჯითებით გააფრთხილა, „მიყურადება დღესაც ძალაშია, ხელი სტაცეთ თქვენს კომპიუტერებსა და ფეისბუქებს, რათა ვირუსის საშუალებით არ მოგისმინონო“. განაცხადა, ამ ჩანაწერების ავთენტურობას არც ვადასტურებ და არც უარვყოფო. 2011 წლის შემდეგ რამდენჯერმე ვიყავი თბილისში (ხაბურძანია რუსეთში მოღვაწეობს და იგორ გიორგაძესთან ერთად საქართველოს მეორე უშიშროების მინისტრია, ვინც რუს კოლეგებს უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას. უშიშროების შეფმა ხაბურძანიამ ხომ იმ დროს უღალატა ედუარდ შევარდნაძეს, როცა მას დანა ყელთან ჰქონდა მიბჯენილი და პარლამენტის დარბაზის კარების მოფრიალებით განაპირობა ნაცების გამარჯვება „ვარდების რევოლუციაში“) და დამნაშავე რომ ვყოფილიყავი, ხომ დამიჭერდნენო.

რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, რომელიც თურმე ეს მერამდენედ რაღაცას ჩალიჩობდა, ჩვეულებისამებრ უკუღმართულს და სახიფათოდ ავანტიურისტულს, ღმერთს მადლობა შევწიროთ, რომ კიდევ ერთხელ მოუცარა ხელი და ხალხს ხიფათი ააცილა.

ფარულ აუდიოჩანაწერებში ოქრუაშვილი ამბობს, რომ ალასანიას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (ანუ ლავროვი — ა.ა.) მფარველობს, ხოლო ხაბურძანია აცხადებს, ალასანია გაეროში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის ვიტალი ჩურკინის კადრია და კავშირი აქვს რუსეთის სასაზღვრო ჯარის მაღალჩინოსნებთანო. 2004 წელს, როდესაც ირაკლი ალასანია პოლიტიკაში შემოვიდა, საინტერესოა, რა ფულით დაფინანსდა ის, რადგან პირდაპირ გეტყვით, ამერიკელები ფულს არ იძლევიანო (რჩება რუსეთი? ა. ა.).

ხაბურძანია თავის ყოფილ მოადგილეს იხსენიებს როგორც მოღალატეს სამსახურებრივ თუ პირად ურთიერთობაში, არასანდოს. ირაკლი ალასანია უშიშროების სამინისტროში მე, ჩემი ინიციატივით მივიყვანე, ერთხელ რუსეთის უშიშროების სამსახურის დირექტორის მოადგილის პრონიჩევის გაცილებისას, ალასანია გვიან მოვიდა. მან ჩემთან მოსაუბრე პრონიჩევი გვერდზე გაიყვანა, ისინი ტრაპზეც ერთად ავიდნენ, სადაც რამდენიმე წუთი ისაუბრეს. შემდეგ ალასანიამ მითხრა, რომ მამამისის საფლავის მოძებნაში დახმარება სთხოვა (ირაკლის მამა, უშიშროების სამსახურის პოლკოვნიკი მამია ალასანია აფხაზეთში დაიღუპა ჟიული შარტავასთან ერთად, მისი საფლავი უცნობია). რამდენიმე თვის შემდეგ მოსკოვში მომასმენინეს აუდიოჩანაწერი, სადაც ირაკლი ალასანია პრონიჩევს ეუბნება, რომ მას პირდაპირი გასასვლელი აქვს შევარდნაძეზე, ამიტომ ხაბურძანიას ასეთი აქტიური გამოყენება საჭირო არ არის, ამ ფუნქციას მეც ადვილად შევასრულებო. ეს იყო 2002 წლის დასაწყისი.

როგორც ვხედავთ, მთელ იმ აუდიოჩანაწერებში ყველაზე დიდი და არსებითი დარტყმა ირაკლი ალასანიაზე მოდის. ეს გასაგებიც არის. იგი ასე ვთქვათ, ამომავალი ვარსკვლავია, დანარჩენი დასახელებული პოლიტიკოსები კი ანგარიშში არჩასაყრელი, გაცვეთილი კადრი, საზოგადოებისთვის მოყირჭებული და ამდენად ნაკლებად საინტერესო.

დღეს „ოცნების“ ხელისუფლებას თავისუფალ დემოკრატებზე დიდი მტერი არ ჰყავს.

ნაცებზე მეტადაც, რათა ოდინდელი მოყვრობა გადაფარონ.

ირაკლი ალასანია — გაპრიალებული სამოვარივით მზეს რომ ეუბნება, შენ ჩადი და მე ამოვალო, მაია ფანჯიკიძე — მაშინაც და ახლაც მინაზებულად, მაგრამ უაზროდ მომღიმარი, ზურაბ აბაშიძე — გუშინ სხვაგვარად და დღეს სხვაგვარად მართალი, ალექსი პეტრიაშვილი, რომლის ჰაბიტუსიც უკვე შემოვლითი გზისკენ მიგვანიშნებს...

აღმოჩნდა, რომ ისინი „ჩვენები“ არასოდეს ყოფილან, უბრალოდ, „ჩვენობა“ მათ საქმეს სჭირდებოდა და იყვნენ ასე, ლენინივით: ერთი ქუდი თავზე, მეორე — ხელში.

გვახსოვს მათი ფიცი-მტკიცი, მართალია კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ გავდივართ, მაგრამ ბილწთ არ შავეკვრით ზავითაო, ანუ იმ ეშმაკეულ ნაციონალებს არასოდეს, არასდიდებით არ ამოვუდგებით მხარშიო.

შეეკვრნენ კი არა!

ამოუდგნენ კი არა!

რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან სერგო რატიანი და ვიქტორ დოლიძე, ირმა ნადირაშვილი და ნინო გოგუაძე?

მხოლოდ იმით, რომ რატიანი და ნადირაშვილი და ძმანი მათნი დიდი ხანია შეიძულა ხალხმა, დოლიძე-გოგუაძე კი, როგორც იტყვიან, შეძულების პროცესში არიან, მათი მჭექარე სამიკროფონე გამოსვლების პარალელურად.

აქ, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ ალასანიას, რომელიც საქართველოში პროდასავლურ ფრთას წარმოადგენს, ღიად უპირისპირდება რუსეთი პრორუსული ძალების საშუალებით. ამდენად „რუსთავი-2“ზე გასული ჩანაწერები ეშმაკურად არის გათვლილი პოლიტიკაზე თავგადაკლულ ქართველ საზოგადოებაზე.

დიახ, ალასანია ერთ-ერთი სერიოზული, ანგარიშგასაწევი ძალაა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ძალიან ხშირად თვითონ იძლევა მასზე თავდასხმის საბაბს! და მაინც ნაციონალები, რომლებიც პირდაპირ სანთლით ეძებენ მოკავშირეებს, აშკარად ელოლიავებიან მას. განა ნიშანდობლივი არ იყო ნაციონალური მოძრაობის ბოლოლა წევრის დავით დარჩიაშვილის განცხადება, რომ იმ საერთო შეტევის ფონზე, რაც პრორუსული ძალების მხრიდან ხდება, ცალკეული ძალების გადარჩენა და გვერდზე დაყენება ღირბულიაო. ვინც იგულისხმება „ცალკეულ ძალებში, ვისი გვერდზე დაყენებაც ღირებულია“, ვფიქრობ, ძნელი დასანახი არ არის.

ჩვენი პოლიტიკოსები რატომღაც დაჯერებული არიან, რომ დღეს ღვეზელის დათრევის მომენტია, რომ ისევე, როგორც 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლება პირდაპირ ქუჩაში დევს და ყველას, ვისაც არ ეზარება, ან ვინც ყველაზე მარდია, შეუძლია ხელში ჩაიგდოს.

ჰოდა, ირაკლი ალასანია უკვე თეთრ ცხენს მოახტა.

ნინო ბურჯანაძე ავად იღიმება: „როცა ჩვენ ხელისუფლებაში მოვალთ, მოვალთ კი აუცილებლად!..“

ქვეყნის სათავეში ნაცების მშვიდობიანად დასაბრუნებელი მხურვალე განცხადებების შესახებ უკვე ვთქვით.

სპაც ლაგამს ხრავს.

არც „ქართულ ოცნებას“ უდევს თვალებმინაბულად თავი კუნძზე.

ჯერჯერობით კორკოტა და როინ ლიპარტელიანი არ იჩენენ ინიციატივსას, თავის რიგს ელიან...

წინ 2016 წლის არჩევნებია.

მანამდე, სკანდალებით განებივრებულ ჩვენს ამომრჩეველს მრავალი სრულიად პლანეტარული მასშტაბის სენსაციის დაგემოვნება მოუწევს, „რუსთავი-2“ გვყავდეს კარგად!

ღმერთო გაგვაძლებინე!

**ალეკო ასლანიშვილი**

◉ განცხადება

# მაგთიკომი პალიტრა TV-ის კამპანიასთან დაკავშირებით

**მაგთისატი** ყოველთვის იცავს კანონის მოთხოვნას და, Must carry პრინციპების დაცვით, თავის სამაუწყებლო ბადეში ათავსებს ყველა იმ საერთო მაუწყებელს, რომელიც მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-40[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საკუთარი ხარჯით ახდენს სამაუწყებლო სიგნალის თანამგზავრზე მიწოდებას.

მაგთიკომს არასოდეს უთქვამს უარი პალიტრა TV-ის განთავსებაზე მაგთისატის პაკეტში, მაგთიკომის მხრიდან პალიტრა ის მიმართ დაყენებული იყო და არის ერთადერთი მოთხოვნა, რომ მან შეასრულოს მაუწყებლობის შესახებ კანონის ზემოაღნიშნული მუხლით დადგენილი პირობა და თავისი ხარჯით მიაწოდოს მაგთიკომს საკუთარი (პალიტრა TV-ის) სამაუწყებლო სიგნალი თანამგზავრზე, რაც პალიტრა TV-ის მხრიდან არ განხორციელებულა.

„დღესაც მზად ვართ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით მივაწოდოთ სიგნალი, მაგრამ გვეუბნებიან, სიგნალი მაინცდამაინც სატელიტით მოგვაწოდეთო“, აცხადებს პალიტრა TV-ის დირექტორი ინგა დადიანი.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით სიგნალის კოსმოსში თანამგზავრამდე მიტანა შეუძლებელია, რაც ქალბატონ ინგას კარგად უნდა ესმოდეს. ჩვენს სადგურამდე სიგნალის მოტანა არ ნიშნავს მის თანამგზავრამდე მიტანას.

„სატელევიზიო პაკეტში პალიტრა TV-ის განთავსებისთვის ყოველთვიურად 5 ათასი დოლარის გადახდა მოითხოვეს“, — აცხადებს ქალბატონი ინგა, რომელმაც ძალიან კარგად იცის ან უნდა იცოდეს, რომ ეს თანხა არის არა განთავსების (რეტრანსლაციის), არამედ ცალკე ტექნიკური მომსახურების — „აპლინკის“ (Uplink) — ღირებულება, რომლის განხორციელების ვალდებულება, კანონის შესაბამისად, არ ეკისრება მაგთიკომს. „აპლინკის“ მომსახურებას მაგთიკომი შესაბამისი საფასურის გადახდის შემთხვევაში სთავაზობს ნებისმიერ პირს, რომელსაც სურს სიგნალის თანამგზავრამდე მიტანა.

სამწუხაროა, რომ პალიტრა მედიას მკითხველი ქალბატონი ინგას პროფესიონალიზმს უნდა ენდოს მაშინ, როდესაც ის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნისა და დავის ნიუანსების საქმის კურშია, მაგრამ ობიექტური მიზეზების დასახელების ნაცვლად მკითხველი მიზანმიმართულად შეჰყავს შეცდომაში.

აღნიშნული სადავო საკითხი უკვე განიხილა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ და მაგთიკომს დაევალა პალიტრა TV-ის სამაუწყებლო პაკეტში განთავსება მას შემდეგ, რაც მაუწყებელი უზრუნველყოფს სამაუწყებლო სიგნალის თანამგზავრამდე მიტანას.

თუ პალიტრა TV დააკმაყოფილებს კანონმდებლის მოთხოვნას და უზრუნველყოფს ღია სიგნალის თანამგზავრამდე მოწოდებას, ის განთავსდება მაგთისატის სამაუწყებლო ბადეში.

მიგვაჩნია, რომ ბოლო დღეებში პალიტრა ჰოლდინგის მედიაში ხელოვნურად ატეხილი აჟიოტაჟი სხვა არაფერია, თუ არა საქმეში ჩაუხედავი მკითხველის შეცდომაში შეყვანა და სასამართლოზე ზეწოლის მცდელობა — პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება ცნობილი გახდება 2015 წლის 4 მარტს.

მაგთიკომი მზადაა, ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს სამართლებრივ ჭრილში დაუსაბუთოს თავისი პოზიციის მართლზომიერება.

◉ სამოქმედო გეგმა

# დღეს უფრო მეტნი ვართ, ვიდრე შეიძლებოდა, ვყოფილიყავით

## როგორია ქვეყნის სოციალური პოლიტიკა?

**ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა ხელისუფლების სერიოზული გამოწვევაა. თუ ერთნი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას მიესალმებიან, მეორენი საპენსიო რეფორმას აკრიტიკებენ, განსაკუთრებით იმ 10-ლარიან დანამატს, რომელიც სექტემბერში უნდა მიიღონ პენსიონერებმა, მაგრამ უკვე ინფლაციამ შეჭამა... თავად ჯანდაცვის სამინისტროსა და საპარლამენტო კომიტეტის წარმომადგენლები სამ ძირითად მიღწევას აღიარებენ. საყოველთაო ჯანდაცვას, სააფთიაქო რეფორმას და დემოგრაფიულ პოლიტიკას. „ეროვნული პოლიტიკა ამ მიმართულებით გაგრძელდება. ჩვენთვის მთავარი ღირებულება ადამიანი და მისი სიცოცხლეა. ბოლო ორ წელიწადში შობადობა გაიზარდა, ხოლო სიკვდილიანობა შემცირდა. დღეს უფრო მეტნი ვართ, ვიდრე შეიძლებოდა ვყოფილიყავით“, — აღნიშნა დიმიტრი ხუნდაძემ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის პრეზენტაციაზე.**

ხელისუფლება თანხმდება, რომ ხშირად არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა უწევს, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რა სიკეთეებიც ამ ნაბიჯებს მოაქვს: მაგალითად, სააფთიაქო რეფორმას მოჰყვა ნარკომანიის შემცირება და თვითმკურნალობის აღმოფხვრა, რომელიც ხშირად სავალალო, ფატალური შედეგებით მთავრდებოდა, — აღნიშნავენ ამ იდეის ავტორები.



და მაინც არსებული სიტუაციის მიმოხილვისას ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ **„ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში არსებული გამოწვევების დაძლევა 2012 წელს საქართველოს მთავრობის აღებული ვალდებულებაა. გაეროს განვითარების პროგრამის და გაეროს განვითარების ფონდის 2013 წლის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის 15,3 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმაა (დღეში 1 აშშ დოლარი). ხოლო 5,000 ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს.**

**ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფო დანახარჯები სოციალური დაცვის მიმართულებით. თითქმის გასამმაგდა სახელმწიფო ასიგნებების ოდენობა, მაგრამ, ყველა ვთანხმდებით, რომ ეს საკმარისი არაა. კომიტეტის სტრატეგიულ გეგმაში აღნიშნულია, რომ „დაუყოვნებლივ არის გადასაჭრელი სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი, კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა და მათი არათანაბარი გეოგრაფიული გადანაწილება“.**

დიმიტრი ხუნდაძე მიიჩნევს, რომ ჯანდაცვის კომიტეტის მთავარი გამოწვევები საკანონმდებლო საქმიანობის მხრივ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ფორმალური მექანიზმების სისუსტე; კანონშემოქმედებით და ფისკალური ანალიზის პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტიზის გამოყენების ნაკლებობა; და ასოციირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სავალდებულო ღონისძიებების განსახორციელებლად აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სხვა კომიტეტებთან კოორდინირებული ინიციატივების სიმცირე. სოციალურ საკითხთა კომიტეტის 2015-2016 წლების საკანონმდებლო გეგმა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს, თუმცა, ეს არ არის საბოლოო ფორმა და მისი კორექტირება შესაძლებელია. საგაზაფხულო სესიის ნუსხაში მოხვდა შემდეგი თემები: საქართველოს კანონი შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ; კანონი შრომის უსაფრთხოების, შრომითი მიგრაციის და დასაქმების შესახებ; სუროგაციის შესახებ მარეგულირებელი ნორმების შემუშავება, ტუბერკულოზის საკანონმდებლო ბაზის დახვეწა: საქართველოს კანონი სოციალური დახმარებების შესახებ (შშმ პირების, მარტოხელა დედების, ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების და ა. შ.); მკაცრდება თამბაქოს კონტროლი, მზადდება კანონპროექტი ადამიანზე ჩატარებული ბიოსამედიცინო კვლევების შესახებ... აღსანიშნავია, რომ 2015 წელი „ოჯახის წლად“ გამოცხადდა.

მომდევნო წლის საშემოდგომო სესიის განსახილველ საკითხებში მოხვდა სამედიცინო პერსონალის და სოციალური მუშაკის მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა, ხოლო ცოტა ადრე, საგაზაფხულო სესიაზე იქნება განხილული მადრიდის საერთაშორისო გეგმა დაბერების შესახებ. ამ უკანასკნელმა ასე დაგვიანებული განხილვის გამო ექსპერტთა გულისწყრომა გამოიწვია. სახელმწიფო სტრატეგია ასეთია: 2030 წლისთვის ქალთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უნდა იყოს 80 წელიწადი, ხოლო მამაკაცებისთვის 78 წელი, ასე რომ, პენსიონერთა რიცხვის მატებაა ნაწინასწარმეტყველები. კომიტეტში აქტიური მუშაობა მიდის დაგროვებითი პენსიის ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებითაც.

რაც შეეხება სავალუტო პრობლემებს, რომელიც ბოლო თვეების მანძილზე შეექმნა ქვეყანას, შეეხო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასაც. გაიზარდა წამლების ფასი და ასევე აისახა პაციენტთა სრულფასოვან სერვისზე. ამის შესახებ თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს უფროსის მოადგილემ ნინო ჭუმბურიძემ განაცხადა და სახელმწიფოს დახმარება სთხოვა.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე **ვალერი კვარაცხელია** მსგავს პრეტენზიებს გადაჭარბებულად მიიჩნევს: **„თუკი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა გახდება რთული, ჩვენ უკვე შემუშავებული გვაქვს გეგმები, თუმცა, ამ ეტაპზე ამის საჭიროებას ვერ ვხედავთ. კლინიკებს რაც შეეხება, აქ თავიდანვე ჩადებული იყო 10 პროცენტის ფარგლებში ცვლილებები. წამლებთან დაკავშირებით საქმე უფრო რთულადაა. ჩვენ პირდაპირ ჩარევის უფლება არ გვაქვს. ვიცით, რომ 500-მდე მედიკამენტზე ფასი გაიზარდა, მათ შორის, 100-მდე პირველადი მოხმარების პრეპარატზე, რაც მტკივნეულად აისახა მოსახლეობაზე. ჩვენ შეხვედრა გვქონდა იმ ფარმაცევტულ კომპანიებთან, რომლებმაც ტენდერი მოიგეს, მაგრამ ჰქონდათ მცდელობა, ფასები გაეზარდათ. მათ ეს ნაბიჯი გადავაფიქრებინეთ.**

**საყოველთაო ჯანდაცვა უმნიშვნელოვანესი პროექტია, ამიტომ გაუაზრებელი და სწრაფი ნაბიჯების გადადგმა არ ივარგებს“,** — განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

**თეა მოსია**

◉ კაკალ გულში

## წიკწიკოვანი თიხზები

● **სინდისისგან თავისუფალი დემოკრატები და რომან გოცირიძე “რუსთავი-2“-ში დასახლდნენ, სადაც ჯიჯი ალფაიძის ფუნქციას ასრულებენ.**

● **ერთი წუთით წარმოვიდგინე გირშელთველო საქართველოს ალტერნატივად: მიშა ისევ პრეზიდენტი, გირშელი შსს მინისტრი, ზონელი რო ყავთ ქალიშრეკი — ის პარლამენტის ვიცესპიკერი, ლედიგიგი ისევ თბილისის მერი და პარალელურად სასულიერო აკადემიის რექტორი, უდებლუს უკვე 10 ტრუპი დაჭირდება 2-ის მაგივრად, გოგორიშვილი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ... ტრალივალი იტაგდალი ........ჰოდა აი სულ რო 10 ლარს აარტყას დოლარმა, ნაციონალებო, დაახვიეთ აქედან!**



● **პირადში მომწერა ამწუთას მეგობარმა ქალმა (ექიმია), უმეტესობა კარგად იცნობთ. ჩემი შვილის მეგობრის დედა მუშაობდა ბანკშიო, 2012 წლის არჩევნების წინ დაუბარებია კაბინეტში ქადაგიძეს და უთქვამს — ვიცი შენი პოლიტიკური შეხედულებები, შენით დაწერე განცხადება და წადი, არ მინდა, გაგაგდოო... ეგეც თქვენი ქადაგიძე.**

● **ხალხო, ნანა ყეინიშვილი ნამდვილად არსებობს. მეგონა ოცნება გვატყუებდა!**

● **ტუი არმსტრონგი.**

● **ამ პუტინმაც, რაღა ინგა ლალიაშვილი დაიქირავა, ექვსი ტყვია რომ ესროლა და აქედან ორი — ააცილა.**

● **მოვიმარაგე ჟურნალ-გაზეთები, მზესუმზირა, ჰაი-პაი, ტუდა-სუდა, მეთქი წამოვწვები, წავიკითხავ თავის ატრიბუტებით... გადავშალე „სარკე“ და... ვიქტორ დოლიძე: „ღარიბაშვილი კეფირს ჰგავს, ალასანია - ვისკის“ <<<<<< წამოვხტი, აღარ მეკითხვინება!**

● **„ვერსიაშია“ გიგი წერეთელთან ინტერვიუ, ჰოდა, ხალხი ქუჩაში შიმშილის გამო გამოვა და ცხადია, ჩვენც (ოპიზიცია) მათ გვერდით დავდგებითო. არც იმას გამოვრიცხავ, მოსახლეობის მობილიზება და ქუჩაში გამოყვანა თავად პარტიამაც გადაწყვიტოსო. აიიი, სუ რო კუჭი გაგვიხმეს, თქვენი მოწოდებული თბილი გარბუშკაც არ გვინდა!**

● **სრულიად საქართველომ ისე შეიცხადა ნემცოვის მკვლელობა, თითქოს თავის ქუჩაში (სახლში, ციხეში, ჯარში, ტყეში, მთაში, ბარში, წყალში...) მოკლული არავინ ენახოს, ან გაეგონოს.**

● **დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყნისთვის კონკრეტული და რეალური საქმის გამკეთებელ ხუთიოდე პოლიტიკოსს ან ჩინოვნიკს (საქმეებიანად) თუ შემახსენებთ, მადლობელი დაგრჩებით („შავლეგო“, „...მაშასადამე მე ვარ ევროპელი“, „წინ ნატოსა და ევროკავშირისკენ“... და ამგვარებს, „ტრაკანის“ ჟანრიდან, — ნუ შემოგვთავაზებთ).**

● **„საქართველოში სომხეთიდან იმპორტირებული თურქული წარმოების ქათამი“. რას არ გაიგებ კაცი!**

**პათოგენები კი არა, გალოგენები რომ არ აღმოაჩინეს, არ გიკვირთ?!**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

◉ ალიან-ჩალიანი

# ვინ უხელმძღვანელებს დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტს?

**დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე უმრავლესობის მხრიდან ორი კანდიდატურა დასახელდა. პარლამენტის ბიუროს აღნიშნულ თანამდებობაზე ფრაქცია „ქართულმა ოცნების“ სახელით თემურ ჭკუასელის კანდიდატურა წარედგინა. საკუთარი კანდიდატურა დაასახელა ფრაქცია „ქართული ოცნება — ეროვნულმა ფორუმმა“, რომელმაც კომიტეტის თავმჯდიმარედ შალვა კიკნაველიძე წარადგინა. გარდა ამისა, ფრაქცია „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილია თამაზ მეჭიაურის კანდიდატურა.**

**ინტერპრესი**

სადაზღვევო სფერო

# ფული ისევ ფულმა რომ დაიცვას



**სტაბილურობას მოკლებულ მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ ვითარებაში, როცა სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ვალუტები დოლარისა და ევროს მიმართ დღითი დღე უფასურდებიან, ფინანსური კრახის საფრთხე მარტო საწარმოებს კი არა, ზოგიერთ ქვეყანასაც კი ემუქრება. გაკოტრებისგან დაზღვეული, ცხადია, არც კომერციული ბანკები არიან, სადაც მოსახლეობის ის ნაწილი, ვისაც რაღაც თანხები მაინც აქვს სამომავლოდ გადადებული, თავის ფულს ინახავს. ამდენად, თავისი ფულის ერთიანად დაკარგვის დამოკლეს მახვილი ამ წვრილ მეანაბრეთა თავსაც ჰკიდია, რაც ამ ხალხს სიმშვიდეს უკრთობს. ამ ფონზე მეტად დროული და სარგებლის მომტანია საქართველოში საბანკო დეპოზიტების დაზღვევის შემოღება. მსგავსი სისტემები თითქმის ყველა განვითარებად ქვეყანაში მოქმედებს, ხოლო მათი მიზანი წვრილ მეანაბრეთა ფინანსური რყევებისგან დაცვაა.**

საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **გიორგი კვირიკაშვილის** განცხადებით, ქვეყანაში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოსაყალიბებლად შეიქმნება სამთავრობო ჯგუფი, რომელსაც ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური უხელმძღვანელებს. თავად გიორგი კვირიკაშვილი თანათავმჯდომარე იქნება, მასში ასევე შევა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **ირაკლი ქადაგიძე,** ხოლო თავად პროექტი მსოფლიო ბანკის დახმარებით განხორციელდება.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, ქვეყანაში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვის ვალდებულება აქვს ნაკისრი.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველო იმ ქვეყნების მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება, სადაც საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემა არ არსებობს. საერთაშორისო საბანკო სისტემაში შედარებით ახალი მოვლენაა — შედარებით ფართოდ მისი დანერგვა 70-იან წლებში დაიწყო, ამჟამად იგი მსოფლიოს დაახლოებით ცხრა ათეულ ქვეყანაში მოქმედებს. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი ამერიკის შეერთებული შტატები იყო, სადაც დეპოზიტების დაზღვევის სისტემა 1933 წელს, დიდი დეპრესიის შედეგად აუარება — ათი ათასზე მეტი! — ბანკი გაკოტრდა, მილიონობით ადამიანმა კი მთელი სიცოცხლის მანძილზე დანაზოგი დაკარგა.

საგულისხმოა, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვა საქართველოში თავდაპირველად ჯერ კიდევ ათი წლის წინათ იგეგმებოდა, რა მიზნითაც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დაწესებულებას ჩვენთვის გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი კრედიტიც ჰქონდა გამოყოფილი. მიუხედავად ამისა, პროექტი არ განხორციელებულა იმ მარტივი მიზეზით, რომ მაშინ სესხის თანხა... ბათუმის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციისთვის გამოიყენეს, რომელიც დღესდღეობითაც... რეაბილიტაციას საჭიროებს!

მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა განცხადებით, გარდა იმისა, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნა ევროკავშირის ერთ-ერთი დირექტივაა, ეს კიდევ საკმაოდ ხანგრძლივი პროცესიცაა — მის შესაქმნელად და მომხმარებლის მხრიდან ნდობის დამსახურებას, სულ მცირე, სამი წელიწადი დასჭირდება. პროცესის ასეთი ხანგრძლივობა იმითაა განპირობებული, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის სრულფასოვნად ასამოქმედებლად აუცილებლად საჭიროა ერთი, რომ ცალკე სათანადო კანონის შემოღება, სადაც ყველა საკვანძო საკითხი იქნება გათვალისწინებული, მეორე კიდევ ის, რომ მოქმედ მთელ რიგ საკანონმდებლო აქტში შესაბამისი ცვლილებებია შესატანი. ამასთან, საერთაშორისო ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ **დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ქვეყანაში ლიცენზირებული ყველა კომერციული ბანკისთვის სავალდებულო, ხოლო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი დეპოზიტების მიმღები ბანკებისთვის კი დაფარვის თანხა ოპტიმალური უნდა იყოს**. თავად დეპოზიტების დაზღვევის სისტემას შესაძლოა დაფინანსების სამი წყარო ჰქონდეს: **საწყისი** — მთავრობისა და წევრების შენატანი და დონორების დაფინანსება; **რეგულარული** — წევრების წლიური შენატანი და **საგანგებო** — გაუთვალისწინებელი დაფინასნების ფარგლებში წევრების სპეციალური შენატანი.

ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, თავისთავად, ყველა რისკის პანაცეა არ არის, თუმცა კი, ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, მას დიდი ბუფერული, ანუ შემრბილებელი ეფექტი აქვს. ოპონენტები კი იმას აქცევენ ყურადღებას, რომ სქემის გამოყენებას საპირისპირო ეფექტი შეიძლება მოყვეს და საფინანსო სისტემის დესტაბილიზაციის ხელის შემწყობი ფაქტორი გახდეს, რადგან მთავრობის შესაძლებლობებით ზურგგამაგრებულ კომბანკებს გონივრულ ზღვარს გადაცილებული სარისკო პოლიტიკის გატარების სურვილი შეიძლება გაუჩნდეთ. ამავე დროს, ამ უკანასკნელი გარემოების კვლევამ აჩვენა, რომ სისტემის დანერგვამ, სუსტი ინსტიტუციური გარემოს პირობებში, შესაძლოა, საბანკო კრიზისი უფრო მეტად სავარაუდო გახადოს.

უნდა ითქვას, რომ **იმის გათვალისწინებით, რომ იმის გამო, რომ საქართველოში დეპოზიტების უმეტესი ნაწილი კომბანკებშია განთავსებული, ერთი მათგანის გაკოტრებაც კი, ფინანსური დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად, ხელისუფლებას პროცესში ჩართვასა და დეპოზიტების საკუთარი შესაძლებლობებით დაკმაყოფილებას აიძულებდა**. აქედან გამომდინარე, ექსპერტებს დასკვნა გამოაქვთ, რომ ბანკებს და დეპოზიტორებს ისე შეუძლიათ იმოქმედონ, თითქოს დეპოზიტები უკვე დაზღვეულია.

სამწუხაროდ, საქართველოში შიდა დანაზოგების მოცულობა, მოსახლეობის გაჭირვებული მატერიალური მდგომარეობის გამო, ძალიან მცირეა — ის მთლიანი შიდა პროდუქციის მხოლოდ 2,5 პროცენტს შეადგენს, რაც უახლოეს სამეზობლოში ყველაზე „შეჭირვებულზე" თითქმის სამჯერ ნაკლებია. ცხადია, რომ დანაზოგების მთლიანი ოდენობიდან კომბანკების დეპოზიტებზე კიდევ ნაკლები ფული ინახება, რაც, თავის მხრივ, შიდა სახსრებით ინვესტირების დაბალ დონეს და სესხებზე მაღალ საპროცენტო განაკვეთებს განაპირობებს. ამით კი, ბუნებრივია, ეკონომიკური განვითარების ტემპი მცირდება. აი, ასეთი მონუსხული წრეა: **რაც უფრო ღარიბია ქვეყნის მოსახლეობა, მით უფრო ცუდად ვითარდება ეკონომიკა...**

იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე წლის წინათ საქართველოში პოტენციურ დეპოზიტორთა გამოკვლევით გაირკვა, რომ კომბანკებში საკუთარი დანაზოგის განთავსება მხოლოდ 6 პროცენტს სურს, ხოლო, თუ დეპოზიტები დაცული იქნება — ათჯერ მეტს, ამ სისტემის დანერგვის შედეგად საბანკო სფეროსაც და მომხმარებლებსაც კარგი პერსპექტივები ესახებათ.

**ოთარ ტურაბელიძე**

ფინანსები

# უძრავი ქონება ლარის გამყარების მოლოდინშია

**ბოლო თვეებში მშენებარე ბინების რეალიზაცია არნახულად არის შემცირებული. საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებმა მეტ-ნაკლებად ყველა სფეროს წინსვლა შეაფერხა, მათ შორისაა უძრავი ქონების ბაზარიც.**

როგორც დეველოპერები და უძრავი ქონების სააგენტოს მუშაკები ამბობენ, ასეთი შენელება კარგა ხანია, არ ახსოვთ. მსგავსი რამ მხოლოდ 2008 წელს ხდებოდა, როდესაც ომის გამო ყველაფერი აირია და ეს სფეროც გაიყინა. ბინის ყიდვისგან ყველა თავს იკავებს იმის გამო, რომ დოლარი ძალიან გაძვირებულია, სესხის აღებასაც ყველა უფრთხის იმიტომ, რომ არავინ იცის, რა იქნება ხვალ. როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა განაცხადა, შეიძლება რეფინანსირების განაკვეთიც გაიზარდოს, ამას ემატება ისიც, რომ გაურკვეველია, როგორი კურსი იქნება ხვალ, ან ზეგ და რა კურსით მოუწევს მსესხებელს თანხის გადახდა. რეალიზაციის შემცირებას უჩივიან სამშენებლო კომპანიებში და ამბობენ, რომ ბინის მყიდველთა რაოდენობა არნახულად არის შემცირებული. სამშენებლო კომპანია „ალფას ბიზნეს ჯგუფის" წარმომადგენელმა **ანა კუნჭულიამ** bpn,ge-სთან საუბრისას განაცხადა, რომ სექტემბერ-ოქტომბერთან შედარებით კომპანიის კლიენტთა რაოდენობამ შესამჩნევად იკლო, რადგან ხალხი ბინებს ძირითადად სესხებითა და განვადებებით ყიდულობდა, ახლა კი, მსგავს რისკზე წასვლას ყველა ერიდება.

## ბინის მყიდველთა რაოდენობა არნახულად შემცირდა

გაცილებით მწვავედ აფასებს სიტუაციას კომპანია „ლუმაქ ჯგუფის" გაყიდვების მენეჯერი **ჯაბა ჩარკვიანი:**

**— ბინების გაყიდვა ლამის შეჩერებულია, ვისაც ფულის ნაწილი ჰქონდა შემოტანილი, სრული თანხა იმასაც ვეღარ შემოაქვს. შემოდგომაზე დღეში ათი კლიენტი რომ შემოდიოდა, ახლა 4-5 დღე ისე გაივლის, რომ ჩვენს ოფისში ერთი რეალური მყიდველიც არ შემოდის. დეკემბრის ბოლოდან განსაკუთრებით შემცირდა ბინების რეალიზაცია, ანუ მას შემდეგ, რაც ლარის კურსი 2-ს გადასცდა. გვყავს ისეთი კლიენტები, ვისაც ბანკში ანაბარი ეროვნული ვალუტით ჰქონდა შეტანილი, და ახლა ლარის გამყარებას ელოდებიან. ერთი კლიენტი გვყავდა, რომელმაც ნოემბერში მოგვაკითხა და გვითხრა: ბანკში თანხა მაქვს შენახული, იანვარში სარგებელი დამემატება და ბინას მერე ვიყიდიო, სარგებლის დამატების ნაცვლად სოლიდური თანხა დაკარგა და ახლა ფულის გამოტანასაც თავს არიდებს, ელოდება ლარი როდის გამყარდება.**

რეალიზაცია შეუმცირდა დეველოპერულ კომპანიას — „სახლი დიღომში". ამ კომპანიის გაყიდვების მენეჯერმა **თინათინ ასლამაზიშვილმა** გვითხრა, რომ მიუხედავად კლიენტურის შემცირებისა, კომპანია მაინც მუშაობს:

**— მართალია, რეალიზაცია შეგვიმცირდა, მაგრამ ჩვენ გამოუსწორებელი მდგომარეობა ნამდვილად არა გვაქვს. ისედაც საკმაოდ აქტიურად ვყიდდით ბინებს. ამ ეტაპზე რეალიზაცია გაგვინახევრდა, მაგრამ მაინც ვმუშაობთ. ახლა ჩვენი ბინები უფრო მეტად საბანკო განვადებებით იყიდება. ტემპი აშკარად შენელდა, მაგრამ საგანგაშო მაჩვენებელი არა გვაქვს. ყველანაირი ფართის ბინა გვაქვს — დაწყებული 12 კვ. მეტრიდან, დამთავრებული 120 კვ. მეტრით და ყველა სეგმენტს ვემსახურებით. მართალია, ჩვენი ბინები ისეთი ინტენსივობით აღარ იყიდება, როგორც ლარის გაუფასურებამდე იყიდებოდა, მაგრამ გაჩერებით არ გავჩერებულვართ.**

შემცირებულია არა მარტო მშენებარე და ახალაშენებული ფართების რეალიზაცია, არამედ უკვე დასრულებული და გარემონტებული ბინებისაც. ამის თაობაზე უძრავი ქონების სააგენტო „კიბეს" ხელმძღვანელი **ნელი გოგუაძე** გვესაუბრა:

**— ძალიან შემცირდა ბინების გაყიდვის მაჩვენებელი, რეალურმა მყიდველმაც იკლო იმიტომ, რომ მიუხედავად დოლარის გაძვირებისა, ბინებზე ფასები არ შემცირებულა. ადამიანები ელოდებიან სიტუაციის დალაგებას, ანალოგიური სიტუაციაა ქირის მსურველთა შორის, თუმცა, ქირის ფასმა აშკარად მოიკლო. როდესაც რეალური დამქირავებელი გამოჩნდება, ის, ვინც ბინას, ან საოფისე ფართს აქირავებს, გარკვეულ დათმობებზე მიდის და თანხას უკლებს. ბინის ქირას ისიც შეამცირებს, თუ 20-პროცენტიანი დანამატი 5%-მდე ჩამოვიდა. ბინის მფლობელს ურჩევნია ქირა არსებული კურსით კი არ გადაახდევინოს, არამედ შეღავათი გაუწიოს. გამქირავებელს კონტრაქტის შეწყვეტა არ უღირს, ამიტომ ურჩევნია ქირის თანხა შეუმციროს. არც ერთ გამქირავებელს არ უღირს კარგი გადამხდელის გაშვება. ზოგიერთი კი, იძულებულია ქირის გადასახადი შეამციროს იმიტომ, რომ საერთოდ ვერ აქირავებს. ჩვენ, მაგალითად, გვქონდა ფართი, რომელსაც პატრონი 5 ათას დოლარად აქირავებდა, მაგრამ ახლახან დაგვირეკა და გვითხრა, რომ თანახმაა 3 ათას დოლარადაც გააქირაოს. როდესაც რეალური დამქირავებელი გამოჩნდება, მაშინ უკვე ფასის შემცირებაზეც თანხმდებიან.**

ნელი გოგუაძის თქმით, ადრეც იაფი ბინები უფრო იყიდებოდა, ახლა კი, მაღალფასიანი ბინების გაყიდვა საერთოდ გაჩერებულია, რადგან მათი მყიდველი არ ჩანს:

**— თუ ლარი არ დასტაბილურდა, ამ ბაზრის გააქტიურება ძალიან გაძნელდება. ადრე ახალაშენებულ ბინებზე იყო მოთხოვნა, მაგრამ სამშენებლო კომპანიები ყველაფერს დოლარში აფორმებენ. დღეს ქართულ ბაზარზე არასტაბილური სიტუაციაა და დოლარში დაფიქსირებული თანხის გადახდას ყველა ერიდება. ისეთი კლიენტებიც გვყავს, რომლებსაც ბინის დაქირავება, ან ყიდვა კი უნდათ, მაგრამ ისინიც მოლოდინის რეჟიმში არიან. ეს სავსებით ბუნებრივი რეაქციაა — როდესაც ადამიანს ესმის, რომ ახლო მომავალში პროდუქტი გაძვირდება და სამომხმარებლო კალათაც ძვირდება, ის ბინის ყიდვაზე და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე ნაკლებად ფიქრობს.**

**ხათუნა ჩიგოგიძე**



## „მე და შენ ერთი სისხლისანი ვართ...“

**დასავლეთ აფრიკის სახელმწიფო ბურკინა-ფასოს დედაქალაქ უაგადუგუს შემოგარენში ერთ-ერთ ტბაში წმინდა ნიანგები ცხოვრობენ, რომლებთანაც**



**ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დიდი ხანია, მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს. ერთი კი არის, რომ ამ უაღრესად სახიფათო ქვეწარმავლებთან „თბილი კონტაქტის“ უფრო ადვილად მისაღწევად მათთვის ნობათად ცოცხალი წიწილები მოჰყავთ.**

ტბის ნაპირას მისულები ხელისგულს წყალზე უტყუპუნებენ. ხუთ წუთში წყლიდან რამდენიმე დაკოჟრილი „მორი“ ამოყვინთავს ხოლმე და „ვიზიტორებს“ ყურადღებით ათვალიერებს. მისულთაგან ერთ-ერთი „კუნძზე“ ჩამოჯდება და უძრავ ნიანგს ძღვენს სთავაზობს. ოდნავი დაყოვნების შემდეგ ცხოველი უზარმაზარ ხახას აღებს და ტკლაც! — წიწილა წამში გადასანსლულია.

შესაწირი მიღებულია და... ყველაზე გასაოცარი რამ სწორედ ამის შემდეგ იწყება: ნიანგები ადამიანებს ყველაფრის გაკეთების უფლებას აძლევენ — ბავშვები ზურგზე აბობღდებიან, ისინი კი მთელი სისწრაფით მიცურავენ და მერე ისევ ნაპირზე მოჰყავთ პატარები, ერთმანეთს სისწრაფეში ეჯიბრებიან, ყვინთაობენ და ადამიანებს წყალში ეთამაშებიან...

ვიდრე ყოველივე ეს საკუთარი თვალით არ ნახეს, ევროპელ ზოოლოგებს მონაყოლისა არაფრით არ სჯეროდათ, თუმცა კი, აფრიკული ნიანგები ამ შემთხვევაში გამონაკლისი სულაც არ არის.

თავის დროზე ამერიკელმა ბიჭუნებმა მეტად საინტერესო „სპორტის სახეობა“ მოიგონეს. ფლორიდის სანაპიროსთან ისინი ძრავიანი ნავით ზვიგენს ეწეოდნენ, წყალში ხტებოდნენ და... უზარმაზარ თევზს ეთამაშებოდნენ!

ბილი იანგი და დეივ ბოილი ზღვის ბიოლოგებად გახდომაზე ოცნებობდნენ, ამდენად, ზვიგენის ზურგით „სეირნობა“ მათთვის ერთგვარი „პრაქტიკული მეცადინეობა“ იყო.

— ჩვენ არანაირი ხიფათი არ გვემუქრება, — ამაყად ამბობდნენ ბიჭუნები, თუმცა კი, ბასრი დანები მუდამ ქამრებზე ჰქონდათ ჩამოკიდებული.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები არ არის ადამიანებისა და ცხოველების, მათ შორის საშიში მტაცებლების მეგობრული ურთიერთობის ცალკეული შემთხვევები, დანარჩენების შესახებ კი, მომდევნო პუბლიკაციებში გიამბობთ.

## როდის არის „კარგად“ ვაინონა რაიდერი?

**სისულელეების კორიანტელის დაყენება მრავალი სახელოვანი მომღერლისა თუ მსახიობის გამორჩეული თვისებაა, მაგრამ მათ შორისაც ჭეშმარიტი „მარგალიტები“ გვხვდება, რომელთა გულგრილად გვერდის ავლა, უბრალოდ, შეუძლებელია.**

მაგალითად, რამდენიმე პლასტიკური ოპერაციის შედეგად ნამდვილად ლამაზ ქალად დამდგარი **მეგან ფოქსი**, ჭკუაგონებასთან აშკარად მწყრალადაა:

— მერე რა რომ ბრაიანს დავშორდი, მისი სახელი კი ამოსვირინგებული დამრჩა. ყოველთვის შემიძლია, ჩემს შვილს ბრაიანი დავარქვა და სვირინგი ამით ავხსნა, ეს ხომ ძალიან მოსახერხებელია.



კიდევ ერთი „რჩეული თხზულება“ **ზაკ ეფრონს** ეკუთვნის:

— ამ კაცზე ვგიჟდები, ჩვენ ერთი და იგივე ადამიანები ვართ. სინამდვილეში ჩვენ აქ არ ვართ, ჩვენ მაიკლ და ჯანეტ ჯექსონები ვართ. როცა ზაკი პარიკს იკეთებს და კაბას იცვამს, ყველაფერი მთავრდება — ის მე ვარ და თქვენ ამის შესახებ ვერასოდეს შეიტყობთ. ეს ჩვენი დროის უდიდესი მისტერიაა!

მეგან ფოქსს არც სხვები ჩამორჩებიან, მაგალითად, მსახიობი **ბრუკ შილდსი:**

— თამბაქოს მოწევა კლავს, და თუ თქვენ მკვდარი ხართ, თქვენი ცხოვრების ძალიან დიდი ნაწილი დაგიკარგავთ.

მომღერალი **სელინ დიონი:**

— როდესაც ძმისწული ხელში გაკვდება, ეს უფლის ყველაზე დიდი საჩუქარია!

— ერთადერთი ბედნიერი მსახიობი — ესაა მკვდარი მსახიობი, რადგან ის მხოლოდ მაშინღა არ იცვლება. სიკვდილის შემდეგ მე, ალბათ, ფუნჯი ვიქნები.

კინომსახიობი **ანჯელინა ჯოლი:**

— იყო თუ არა ჩემს ცხოვრებაში ისეთი მოვლენა, რომელმაც ერთიანად შემცვალა? ზუსტად ვიცი, მაგრამ პირველად სექსი 14 წლის ასაკში მქონდა და ეს დაუვიწყარი იყო!

რაც შეეხება კერძების კეთებას, ეს არ ვიცი, ხოლო, როცა ბრედს ვეუბნები, კვერცხის მოხარშვას ვაპირებ-მეთქი, ამას მის მიმართ მუქარად აღიქვამს.

მსაზიობ **ტომ კრუზს** კი ასეთი შედევრი ეკუთვნის:

— ბავშვები მიყვარს, თავის დროზე ბავშვი მეც ვიყავი, ეს ჩვეულებრივი ამბავია.

**რობერტ დე ნირომ** კი ქვეყანა ასეთი დაკვირვებით „გააოგნა“:

— ბოლო კვლევებით დადგინდა, რომ ქალები თავს გაცილებით კომფორტულად მაშინ გრძნობენ, როცა მამაკაცების წინაშე შიშვლდებიან და არა მაშინ, როცა ქალების წინაშე იხდიან ტანსაცმელს. ისინი ამტკიცებენ, რომ ქალები უფრო სუბიექტურნი არიან, მამაკაცები კი მუდამ ამის მადლიერნი არიან...

მაგრამ ყველაფერს გვირგვინი კინომსახიობმა **ვაინონა რაიდერმა** დაადგა:

— ყველაზე კარგად თავს მაშინ ვგრძნობ, როცა ბედნიერი ვარ!

## სამი შვილის დედა... „მამიკო“ თომასი

**კაცი ან ქალი სქესს რომ იცვლის, ამ პროცესს თავად ამის ჩამდენი ხალხი, ანუ ტრანსგენდერები, ამას „სქესის შეცვლას“ კი არ ეძახიან, არამედ მაღალფართოვნად „კორექციას“ ანდა „გადასვლას“ უწოდებენ.**



არსებობს „კორექციის“ ორი ტიპი: კაციდან ქალად გადაქცევა და პირიქით. ვიდრე „გადასვლის“ ოპერაციას გაიკეთებდეს, პიროვნებამ ფსიქიატრის ცნობა უნდა აიღოს, რომ მისი ეს ხუშტური რაიმე ანომალური გამოვლინება არ არის(?!). შემდეგი ნაბიჯია ენდოკრინოლოგთან გამოკვლევა და ჩანაცვლებითი ჰორმონალური თერაპიის კურსის ჩატარება, რომელიც შესაძლოა, წლების მანძილზე გაგრძელდეს.

„დეიდიდან“ „ძიაში“ „გადასვლის“ ოპერაციის დროს პიროვნებას საშოს ამოკვეთენ და ამოკერავენ, ანდა სათესლე პარკს, ხელოვნურ კვერცხებსა და პენისს „გაუკეთებენ“.

მამაკაცებს კი, რომლებსაც ქალად გახდომა უნდათ, ასაჭურისებენ და გენიტალიების ოპერაციას უკეთებენ. ამას, შემდგომ, კლიენტის სურვილისდა მიხედვით, სხვა „წვრილმანებსაც“ ამატებენ — უზრდიან მკერდს, უტარებენ სახის ნაკვთების კორექციას და ა. შ.

რეპროდუქციული ორგანოების ამოკვეთის შემდეგ ამ პირებს შთამომავლობის ყოლა აღარ შეუძლიათ. ამის მიუხედავად, ცნობილია შემთხვევა, როცა სქესის შეცვლამდე ქალად „ნამყოფი“ **თომას ბიტი,** რომელმაც ქალის სარეპროდუქციო ორგანოები შეინარჩუნა, ჰორმონალური თერაპიის კურსის გავლის შემდეგ და ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაორსულდა და სამი შვილიც გააჩინა!

## დედამიწის ზურგზე



### ჟენევაში სერგეი ლავროვისა და ჯონ კერის შეხვედრა დაიწყო

**შეხვედრა მიმდინარეობს დახურულ რეჟიმში და იგი მოწყობილია ამერიკული მხარის მიერ. როგორც ელოდებიან, განხილვის ცენტრში იქნება უკრაინული კრიზისი 12 თებერვლის მინსკის ხელშეკრულების შესრულების კონტექსტში. ამას გარდა, დღის წესრიგშია, როგორც ელოდებიან, ირანის ბირთვული პროგრამა, აგრეთვე სიტუაცია სირიაში.**

### კანადა 125 სამხედროს გაგზავნის ნატოს ბაზებში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში

**ევროპაში გაგზავნიან კანადის სამეფო ქვეითი პოლკის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. კანადიდან ისინი გაფრინდნენ ორშაბათს, 2 მარტს. თუ ევროპის რომელ ქვეყნებში განთავსდებიან სამხედრო მოსამსახურეები, არ აზუსტებენ. მათ გაგზავნიან ნატოს ბაზებში ალიანსის ჯარების ერთობლივი სწავლების განსახორციელებლად.**



### ნემცოვის მკვლელობა გვიკარგავს იმედებს რუსეთის ფედერაციის მშვიდობიან გადასვლაზე დიქტატურიდან დემოკრატიისკენ, მიაჩნია კასპაროვს

**გარი კასპაროვის აზრით, ოპოზიციას რუსეთში პირქუში მომავალი ელოდება მას შემდეგ, რაც კრემლის მახლობლად მოკლეს ბორის ნემცოვი. როგორც ოპოზიციონერმა აღნიშნა, ახლა უკვე ცხადია, რომ ნემცოვს ტყუილად ჰქონდა იმედი რუსეთის მშვიდობიან გარდაქმნაზე ნორმალურ, ცივილიზებულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ.**

### კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამხრეთი კორეისა და აშშ სწავლებასთან დაკავშირებით გაუშვა ორი რაკეტა იაპონიის ზღვის მიმართულებით

**ორშაბათს დაწყებულ დიდმასშტაბიან სამხედრო მანევრებში, რომლებსაც ახორციელებენ სამხრეთი კორეისა და ამერიკის შეერთებული შტატების არმიები, მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრალიისა და კანადის სამხედრო ქვედანაყოფები. ადრე ფხენიანი უკვე მოუწოდებდა სეულსა და ვაშინგტონს, უარი თქვან სამხედრო მანევრების მოწყობაზე კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთში.**



## რაც დავიწყებით არ იბინდება

# დედა

ბაბუაჩემი უჩანა რუსია აბაშის რაიონის სუჯუნის თემში შემავალ პატარა სოფელ სარუსიოში ცხოვრობდა. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, აქ ძირითადად რუსიები ცხოვრობდნენ, დაახლოებით ოცამდე ოჯახი, იყო სხვა გვარის ოთხი-ხუთი ოჯახიც. ბაბუაჩემი უჩანა შეძლებული გლეხი იყო, მეუღლე, მეხუთე შვილზე იყო ფეხმძიმედ რომ გარდაეცვალა. უჩანამ ოჯახის საპატრონოდ, შვილების გასაზრდელად მეორე ცოლი მოიყვანა ქალბატონი ქრისტი, სამეგრელოში გაზრდილი რუსი იყო. ბაბუამ უფროსი ვაჟიშვილი აპოლონი თავის გვერდით ჩაისახლა, მეორე ვაჟი ადლერი ცოტა მოშორებით დაასახლა. ბაბუას სამი ქალიშვილიც ჰყავდა, უფროსი კეკელა (კეკე), მომდევნო ჯარა და ზინა, რომელიც მას მეორე მეუღლისგან ეყოლა. კეკელა (კეკე) გათხოვდა სოფელ სარუსიოს მეზობელ სოფელ – წალიკარელ მირონ ლაზარტყავაზე, რომელიც უჩანას ძალიან მოსწონდა, პურმარილის კაცია და კარგი თამადობა იცისო. ახალშექმნილ ოჯახს უჩანამ თავის მეზობლად ნახევარ ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი უყიდა, ყოველმხრივ შეუწყო ხელი ოჯახის მოწყობაში. მირონ ლაზარტყავას ოჯახს პირველი სამი შვილი გოგო ეყოლა: შურა, მინდა და ჟუჟუნა, მეოთხე შვილი – ოთარი, 2 წლის ასაკში ფილტვების ანთებით გარდაეცვალათ, რაც ძალზე მძიმედ განიცადა კეკემ. თავი რომ არ მოეკლა, პირველ დღეებში ყარაულობდნენ, ეზოში ჭას სახურავი გაუკეთეს და ბოქლომით კეტავდნენ.

დრო ყველაფრის მკურნალიაო, ნათქვამია. გარკვეული დროის შემდეგ ლაზარტყავების ოჯახს ვაჟიშვილი კაკო (აკაკი) შეეძინა. საკმაო პაუზის (7 წლის) შემდეგ კი – ანზორი. ხუთი შვილის მოვლა-პატრონობა ძალიან ძნელი იყო მარტო დედაჩემისთვის. დამხმარე არავინ ჰყავდა. შურა რომ წამოიზარდა, ის ეხმარებოდა დედას საოჯახო საქმეების შესრულებაში. მერე თანდათან მინდამ და ჟუჟუნამაც შეაშველეს ხელი.



დედაჩემი მაღალი, სუსტი, ქერა, ლამაზი ქალი იყო (ყველა შვილისთვის დედა ულამაზესია). კლასიკური განათლება არ მიუღია, მაგრამ ქცევის მანერა: სიდინჯე, თავდაჭერილობა, კულტურა, გამოარჩევდა სხვათაგან. ზომაზე მეტად გაბრაზება შვილების მიმართ არ იცოდა, ან ვინმეს დაწყევლა, ვინმეზე აუგის თქმა არ მსმენია არც სოფელში და არც ქალაქში (ჩემი ოჯახი 1952 წელს საცხოვრებლად სუჯუნიდან ქ. ფოთში გადავიდა), ქუჩაში მოჭორავე არავის უნახავს.

ზემოთ აღვნიშნე ფიზიკურად სუსტი ქალი იყო, ხშირად ავადმყოფობდა და მიწვებოდა ტახტზე. მეც მივიდოდი და მასთან ახლოს წამოვწვებოდი, მეტყოდა წადი შვილო, ბავშვებთან ითამაშეო, მე უარს ვეტყოდი, შენ რომ კარგად არ ხარ, მე რა მეთამაშება-მეთქი. ცოტა ხნის მერე წამოდგებოდა, ახლა კარგად ვარო. მეც სათამაშოდ გავიქცეოდი. ასეთნაირად იქცეოდა დედა ჩემს დიდობაშიც, როცა ზაფხულში, არდადეგების დროს მიხდებოდა სამეგრელო–გურიის რეგიონში საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების საქმიანობის შემოწმება. ამ რეგიონების რაიონებისა თუ ქალაქების პროკურატურის, სასამართლოს, პოლიციის ორგანოებში, რომელთა ხელმძღვანელები ან ჩემი ყოფილი სტუდენტები ან ჩემი ყოფილი კურსელები იყვნენ, დღის ბოლოს ვახშამზე მათთან ვრჩებოდი ათის ნახევრამდე, უკიდურეს შემთხვევაში ათ საათამდე, ვინაიდან დედაჩემი ვიდრე ფოთში სახლში არ მივიდოდი, ფანჯარასთან იჯდა და მელოდებოდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს მძიმე მდგომარეობა იყო ქვეყანაში. ასეთი ძნელბედობის ჟამს შეღამებისას დედა შემოგვისხამდა შვილებს, ხან ზღაპრებს გვიყვებოდა, სადაც ყოველთვის სიკეთე იმარჯვებდა ბოროტზე, ხან სიმღერებს გვასწავლიდა, თვითონ ძალიან კარგად მღეროდა. უმცროსს – ჟუჟუნას ეტყოდა, გაჩერდი, შენ არ იმღერო, სასიამოვნო ხმა არ გაქვს, აფუჭებ სიმღერასო. ჟუჟუნა იტყოდა, თქვენ რომ გინდათ სიმღერა, მეც მინდაო. ვერ ვეგუებოდი, ოჯახის წევრები, ზოგჯერ სხვებიც, დედაჩემს რომ არ უჯერებდნენ. ერთხელ ასეთი საქციელის გამო მწარედ ვცემე უმცროსი ძმა ანზორი. ის ცოცხალი აღარ არის და ეს რომ გამახსენდება, თვალებზე ცრემლები მადგება, რატომ ვცემე-მეთქი. აქვე იმით ვიმშვიდებ თავს, რომ დედა უზენაესია, უმაღლესია.

დედა ამაყობდა არც თუ ისე დიდი თანამდებობის შვილით, რაც შემეძლო, კანონიერების ფარგლებში, ვეხმარებოდი დედაჩემთან სათხოვნელად მისულთ სამუშაოზე მოწყობაში, სამედიცინო მომსახურების ცალკეული საკითხების მოგვარებაში. დედა მათ ეტყოდა, კაკო ისეთი კაცია, თუ რამე შეუძლია, არ დაგზარდებათ, რაც შეუძლია, ყველაფერს გააკეთებს თქვენს დასახმარებლადო. ასეც იყო, შესაძლებლობების ფარგლებში ვაკეთებდი სიკეთეს, რაც უხაროდა მთხოვნელს, მიხაროდა მეც, იმიტომ, რომ ყველაზე მეტად უხაროდა დედაჩემს, რომელიც მეტყოდა, თუ თხოვნა უკანონოა და არ შეიძლება მისი შესრულება, არ გააკეთოო.

ჩემი ნათესავი დაიჭირეს სენაკში ქურდობაზე, დედას ამ ნათესავზე დახმარებისათვის არაფერი უთქვამს ჩემთვის, მაგრამ მის მიერ ციმბირის რომელიღაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის ნახევარზე მეტის მოხდის შემდეგ, მთხოვა გადმომეყვანა ის საქართველოს რომელიმე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოსახდელად. ამის გაკეთება ვთხოვე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის იმჟამინდელ პირველ მოადგილეს ბატონ ვარლამ შადურს, უშიშროების ღირსეულ გენერალს, დიდი მამულიშვილს, მართლმსაჯულების ღვაწლმოსილ პიროვნებას და გააკეთა კიდეც.

უცოლო ვიყავი. დედა ჩამომიგდებდა ამ საკითხზე საუბარს, ასეთი დიდი კაცი ხარ (ჩემი პატარა თანამდებობით – იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში, მისთვის დიდი კაცი ვიყავი), ცოლი რატომ არ მოგყავს. ჩემგან პასუხს რომ ვერ მიიღებდა, მეტყოდა, მეზობელ სოფელ ეწერში მცხოვრები გიორგი გუგუშვილი ხშირად დადიოდა სუჯუნაში ხან წვერის გასაპარსად, ხან საოჯახო ნივთების (ნავთი, საპონი, მარილი და სხვა) შესაძენად, სუჯუნის სასადილოში ერთ ბოთლ ღვინოს დალევდა, მხიარულ გუნებაზე გამოივლიდა ჩვენს გზაზე სახლში სიმღერით მიმავალი – „გიორგი ვორექ გუგუსკუა, ვამაწუხენს ჩილდოსქუა, ე.ი. გიორგი ვარ გუგუშვილი, არ მაწუხებს ცოლშვილი. ამის თქმით დედა თავისებურად თანამიგრძნობდა, ფიქრობდა, შეიძლება მისთვის ასე ჯობსო, თუმცა, ჩემს უცოლობაზე ის ძალიან წუხდა.

სიცოცხლის ბოლოს, 80 წელს გადაცილებული ავად რომ გახდა, ქალიშვილებს უხმო. ერთი მასთან ცხოვრობდა, ორი აბაშიდან ჩავიდა. საუბრის ბოლოს უთხრა, კაკოს არ გააგებინოთ ჩემი ავადმყოფობა, ინერვიულებსო. საიქიოს მიმავალი მაინც ჩემზე ფიქრობდა, ჩემს ჯანმრთელობას უფრთხილდებოდა. აი, ასეთი იყო დედაჩემი კეკელა (კეკე) რუსია-ლაზარტყავა. უფალო ღმერთო, ნათელში მიმყოფე მისი უკვდავი სული. ამინ!

**აკაკი ლაზარტყავა,**
**პროფესორი**

## უქმე დღეების ჩანაწერები

### დედოფალი – ხელისგულით სატარები – სოსომ უფრო გაგვიძვირფასა

**სოსო ჩვენი პრაქტიკანტი იყო... უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი გაზეთ „კომუნისტში“ გამოეგზავნათ და მანაც ჩვენს განყოფილებაში ყოფნა ისურვა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა – სოსოს ლიტერატურისა და ხელოვნების სფერო იზიდავდა, თეატრისა და პოეზიის დიდი ტრფიალი იყო და სარედაქციო დავალებებსაც უზადოდ ასრულებდა.**




ამოიწურა პრაქტიკა და დარჩა გულითადი მეგობრობა ერთმანეთის მიმართ. სოსომ დაამთავრა უნივერსიტეტი, შესანიშნავი ჟურნალისტის სახელი დაიმკვიდრა გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე, ამ გაზეთის რედაქტორიც კი გახდა, მაგრამ, იმ დროს, საქართველოში გაზეთი თითქმის აღარავის სჭირდებოდა და „თბილისიც“ დაიხურა (სხვათა შორის, სოსო დღემდე ცდილობს ამ გაზეთის აღდგენას).

ზოგი ჭირი მარგებელიაო... მიაკითხა თბილისის უნივერსიტეტსა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტს იოსებ ჭუმბურიძემ, დაიცვა დისერტაცია და დღეს უკვე ჟურნალისტიკის დოქტორი და პროფესორია, კითხულობს ლექციებს, თან ნიჭიერებით აღბეჭდილ და აქტუალობით გამორჩეულ წერილებსაც ბეჭდავს ჩვენს პრესაში. იგი უკვე წიგნების ავტორიცაა...

და აი, სწორედ მისმა ახლახან გამოცემულმა წიგნმა ამაღებინა ხელში კალამი და სოსოს გზის დასაწყისიც გამახსენა.

ახალ წიგნს – **„ღიმილი დედოფალ ანასი“** – ქართული პოეზიის დედოფლის ანა კალანდაძის დაბადების 90 წლისთავს უძღვნის იოსებ ჭუმბურიძე, მას პოეტის ბიოგრაფია ეტიუდებად მიუქარგ-მოუქარგავს, უამრავ ცნობილ თარიღსა და ეპიზოდს ერთხელაც გვახსენებს, უცნობ ეპიზოდებსაც გვაცნობს, რაც მეტ ანდამატს აძლევს კრებულს.

**„ბეწვის ხიდზე გავდიოდი“,** – წერს ავტორი – **„გავიარე?.. იმედია, დედოფლის ასეთ საყვედურს მაინც არ დავიმსახურებ: „რატომ შეეხე ჩემს კრეტსაბელს, რატომ შეეხე“... ღიმილით კი დაე, გაიღიმოს, გაიღიმოს „უბრალოდ და მკაცრად, თავისი განსაკუთრებული ღიმილით“...**

ჩემი აზრით, ნაღდად გავლილი გაქვს „ბეწვის ხიდი“, ჩემო სოსო... რა თქმა უნდა, ანა კალანდაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წერა ძნელზე ძნელი საქმეა... შენ კეთილსინდისიერად გაგისრულებია ეგ საქმე... მე პირადად, რომ იტყვიან, სულმოუთქმელად წავიკითხე შენს მიერ აღწერილი ანა დედოფლის არაჩვეულებრივი ბიოგრაფია!

### „რა იქნება – ეს ქვეყანა ერთნაირად გაახარო!..“

**ᲐᲘ, მრავალთაგან ერთი უბედურებაც დღევანდელი საქართველოსი: შუადღეა, შემოჟრიამულდნენ, შემოცქრიალდნენ მეტროს ვაგონში მოსწავლე გოგო-ბიჭები... კისკისებენ, ხმაურობენ, იკლებენ იქაურობას, სკოლის ამბებს უზიარებენ ერთმანეთს..**

...მეორე მხრიდან მათ ტოლ-სწორ გოგობიჭს შაოსანი, თავსაფრიანი ქალი მოჰყვება. გოგო-ბიჭი მოხერხებულად მიმოდიან ხალხით გატენილ ვაგონში და ხელგაშვერილი მოწყალებას ითხოვენ, ხან ერთ მგზავრს მიაპყრობენ მავედრებელ მზერას, ხან – მეორეს. ზოგი იმეტებს ხურდა ფულს, ზოგი ჯიბეს იჩხრეკს, ზოგი უხერხულად იშმუშნება, ზოგი სულაც არ აქცევს მათ ყურადღებას და თავის გასაჭირზე ფიქრობს.

### შეიტანე, გამოიტანე...

**ᲓᲘᲚᲐᲐ, ლამარას ძლივს გამოაქვს პამიდვრით სავსე ყუთი მარკეტიდან და გამოსაჩენ ადგილას დებს. ჩვენი მეზობელია ლამარა, მარკეტი მისმა ქმარმა – მირიანმა გახსნა თავის დროზე, მაგრამ, რაღაც-რაღაცების გამო, იგი ამწუთას დაჭერილია და ლამარაა მთელი ოჯახი.** ალიონზე მიდის ბაზარში, ყიდულობს ათასგვარ ბაღჩეულს, ბოსტნეულს, ხილეულს და ოდნავ გაძვირებულად ყიდის ჩვენს უბანში. გამოიტანს იგი დილით ყუთებს, ციცქნა ბიჭები, ვითომ, ეხმარებიან დედას, ცდილობენ თვითონაც გამოიტანონ ყუთი, საღამოთი კი უკან შეაქვთ დედა-შვილებს ყუთები... და ასე გრძელდება ყოველდღე... მოკლედ – შეიტანე, გამოიტანე... აი ცხოვრება...

### ღარიბაშვილის საკეთებელი საშვილიშვილო საქმე!..

**ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ სურათი ტელეეკრანზე: საქართველოს რომელიღაც სოფელი თუ ქალაქი უწყლობას უჩივის, ზოგან დასალევი წყალი არა აქვს მოსახლეობას, დაიტანჯა ხალხი...**

მაგრამ, კახეთი რომ განსაკუთრებულია ამ მხრივ, ეს ყველამ ვიცით, აქ არის ადგილები, სადაც წყალი საერთოდ არ მიდის... ასე იყო, იყო და იყო!.. მაგრამ, როდემდე უნდა იყოს?! კახეთის მიწის ბარაქიანი მოსავალი ძალიან გვინდა, კახურ გვალვას კი ვერ ვაჯობეთ! და ეს ხდება ქვეყანაში, რომელიც, შეიძლება ითქვას, წყალზე დგას, უბრალო წყაროებზე რომ არაფერი ვთქვათ, ნაირ-ნაირი მინერალური წყალი ამოდის იმერ-ამერში და, რამდენადაც ვიცით, უკვე უცხოეთშიც კი უნდა გავიტანოთ... კახეთის ზოგიერთ სოფელში კი, ვაი, სირცხვილო, დასალევ წყალს ერთმანეთისგან სესხულობს ხალხი! გული დაგეწვებოდა გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის ქალბატონების შემხედვარე: ამოუღლიავებიათ წყლის ჭურჭლები ხნიერს, ახალგაზრდას, მოზარდს... და წყლის მოსატანად მიდიან... ტყუილ-უბრალოდ მიდიან... მშრალია ონკანი... მათთვის (და უამრავ მათნაირებისთვის) საქართველოში არც „დედის დღეა“ და არც მამის!.. რა ეზეიმებათ, სახლში ჭურჭელი ვერ დაურეცხიათ!..

ძვირფასო მთავრობავ და ხელისუფლებავ! ნუთუ ასე შეუძლებელია, რომ მართლაცდა, გადავვდოთ ყველაფერი და კახეთს, მის მიწას და მოსახლეობას, ბოლოს და ბოლოს, სამყოფი წყალი მივაწოდოთ?!

ხომ წარმოგიდგენიათ, შარშან რომ კახეთის ვენახები ერთიანად მორწყულიყო, რა მოსავალს მიიღებდა ქვეყანა!..

მიხედეთ, კახელო ირაკლი ღარიბაშვილო, ამ საშვილიშვილო საქმეს! რომ იცოდეთ, მშობელი ხალხისგან გაუნელებელი სიყვარული გარანტირებული გაქვთ, ბატონო პრემიერო!

### გაცოცხლებული „იების გამყიდველი“

**ᲒᲐᲡᲣᲚ კვირას, ფერად-ფერადი ყვავილები ჭარბობდნენ „კოლმეურნეობის მოედანზე“ (ცხადია, დედაქალაქის სხვა ადგილებშიც, რახან გაზაფხული დგებოდა, „დედის დღე“ მოდიოდა).**

აგერ, ჭადრის ხეს მიყრდნობია ყმაწვილი ბიჭი, ხელში იების კონა უჭირავს და მუშტარს ელოდება, თითქოს დიმა ერისთავის ცნობილი ნახატი „იების გამყიდველი“ გაცოცხლებულიყოს. ორი გოგონა ჩერდება მის წინ – წამოჩიტულები, ცქრიალები... ერთი იის კონას არჩევს, მეორე კი ხურდას აწვდის გამყიდველს.



მერე ორივენი ტროტუარს მიუყვებიან, რაღაცაზე კისკისებენ, რაღაცა უხარიათ, ერთი-ორჯერ მარტოდ დარჩენილ ბიჭსაც გახედეს, იები დაყნოსეს...

გაზაფხულია...

**ვილენ მარდალეიშვილი**

# მოწვევა ინტერესის გამოხატვაზე

## (საკონსულტაციო მომსახურება - კომპანიების შერჩევა)

**საქართველო**

**ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი (ILMDP) - P133828**

სესხის ნომერი: 5456-GE

**დავალების სახელწოდება: ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის (ILMDP) ირიგაციისა და დრენაჟის გაუმჯობესების კომპონენტის (IDIC) ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების (I ფაზა) ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება**

**საიდენტიფიკაციო ნომერი: ILMDP/C/QCBS/01-2015**

საქართველომ მიიღო კრედიტი მსოფლიო ბანკისგან (WB), ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის (ILMDP) დასაფინანსებლად. აღნიშნული სახსრების ნაწილის გამოყენება დაგეგმილია საკონსულტაციო მომსახურებისთვის.

საკონსულტაციო მომსახურება („მომსახურება") ითვალისწინებს საქართველოში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების მშენებლობის ყოველდღიური ზედამხედველობის ორგანიზებას. სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტების ზედამხედველობა მოიცავს სხვადასხვა სამუშაოებს, მათ შორის ირიგაციის სისტემების რეაბილიტაციის და დამბების გამაგრებითი სამუშაოების პროექტებს.

მოცემული დავალების ძირითადი მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სსმს) მიერ განსახორციელებელი სამშენებლო ან/და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ზედამხედველობის გაწევა სამინისტროს (დამქირავებელი) სახელით პროექტის მენეჯერის რანგში, სსმს-სა და მის კონტრაქტორებს შორის დადებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, შემდეგი საკითხების უზრუნველყოფის მიზნით:

(ა) მშენებლობის მაღალი ხარისხი, საქართველოში მოქმედი და საერთაშორისო სტანდარტების და გამოცდილების შესაბამისად.
(ბ) მოქმედი პროექტის (სამუშაო ვერსია, დეტალური) და სპეციფიკაციების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, სამშენებლო კონტრაქტების ტექნიკური სპეციფიკაციების და აღნიშნული კონტრაქტების სხვა დებულებების განხორციელებით.
(გ) სამუშაოების დასრულება სამშენებლო კონტრაქტებით განსაზღვრული მშენებლობის გრაფიკების შესაბამისად;
ზემოაღნიშნული თავის მხრივ გამოიწვევს დასრულებული სამუშაოების გრძელვადიან მდგრადობას და ეფექტურ ექსპლოატაციას;
(დ) მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისობის უზრუნველყოფა;
ე) საჭიროების შემთხვევაში პროექტების ადაპტირება.

ზოგადად, აღნიშნული დავალებით გათვალისწინებული ქვე-პროექტების ზედამხედველობა განხორციელდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში.

მოცემული დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 35 თვე, სავარაუდო დაწყების თარიღი კი 2015 წლის ივლისი.

ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი (ILMDP) ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოების მეორე ფაზას, რომელიც არ არის გათვალისწინებული მოცემული საზედამხედველო კონტრაქტით. საჭიროების შემთხვევაში და ასევე იმ შემთხვევაში, თუ კონსულტანტი წარმატებულად შეასრულებს პირველი ფაზით გათვალისწინებულ მოვალეობებს, დამქირავებელმა კონსულტანტს შესაძლოა გაუგრძელოს მომსახურების განხორციელების ვადა, სამშენებლო სამუშაოების მეორე ფაზისთვის, თავდაპირველად გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შენარჩუნებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს („კონსულტანტებს") ზემოთ ხსენებული მომსახურების განხორციელებაზე ინტერესის გამოსახატავად. დაინტერესებული კონსულტანტები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ მომსახურების განხორციელებისთვის აუცილებელი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის და სათანადო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს მაგრამ არ უნდა შემოიფარგლებოდეს შემდეგით:
ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ, მოღვაწეობის პერიოდი (წლებში), პროექტით განსაზღვრული აქტივობების მსგავსი გამოცდილება, ძირითადი პერსონალი, ძირითადი საქმიანობა. მოკლე სიის შერჩევის კრიტერიუმებია:

- მსგავსი ხასიათის საკონსულტაციო კონტრაქტები ბოლო 7 წლის განმავლობაში (ე.ი. 2008 წლის იანვრიდან). მსგავსი სამუშაოები გულისხმობს ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობას.
- კონსულტანტის ზოგადი გამოცდილება.

*შენიშვნა: სსმს უფლებას იტოვებს გადაამოწმოს წარმოდგენილი ნებისმიერი წყარო და გამოიყენოს მოპოვებული ინფორმაცია შეფასებისათვის.*

დაინტერესებული კონსულტანტები ვალდებულები არიან ყურადღება გაამახვილონ შემდეგი დოკუმენტის 1.9 პარაგრაფზე: მსოფლიო ბანკის *სახელმძღვანელო დებულებები: "კონსულტანტების შერჩევა და დასაქმება რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხებისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში, მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ - 2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში"* („კონსულტანტის სახელმძღვანელო დებულებები") ასახავს მსოფლიო ბანკის პოლიტიკას ინტერესთა კონფლიქტთან მიმართებაში.

კონსულტანტები შესაძლებელია გაერთიანდნენ სხვა კომპანიებთან. (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმას წარმოადგენს შვილობილი საკონსულტაციო კომპანია (ქვე-კონსულტირება) ან ერთობლივი საწარმო. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დროს, აუცილებელია გაერთიანების ტიპის გარკვევით აღნიშვნა.
კონსულტანტის კორპორატიული გამოცდილების შეფასების პროცესში, შვილობილი კომპანიების (ქვე-კონსულტანტების) გამოცდილება მხედველობაში არ მიიღება).
მოცემული პროექტის მსგავსი გამოცდილების შესახებ ინფორმაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი ფორმა #1-ის შესაბამისად, რომელიც ატვირთულია მგფ-ს ვებ-გვერდზე შემდეგ მისამართზე: http://www.moa.gov.ge/contentimage/form123.pdf

რეკომენდირებულია, რომ კონსულტანტის მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ აღემატებოდეს 30 გვერდს. კომპანიის ბროშურები შესაძლოა დანართად დაერთოს ინტერესის გამოხატვას და მისი რაოდენობა არ იქნება გათვალისწინებული 30 გვერდიან ლიმიტში.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ხარისხსა და ღირებულებაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის გამოყენებით, შემდეგი დოკუმენტის მე-2 ნაწილში ჩამოყალიბებული მეთოდის შესაბამისად: *მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო დებულებები: "კონსულტანტების შერჩევა და დასაქმება რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხებისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში, მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ – 2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისს.*

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, 09:00-დან 18:00 საათამდე, ქ-ნი ლალი დურმიშიძე, ირიგაციისა და დრენაჟის გაუმჯობესების კომპონენტის დირექტორი.

ქვემოთ მითითებულ მისამართზე ინტერესის გამოხატვა უნდა მოხდეს ინგლისურად, წერილობითი ფორმით (პირადად, ფოსტის, ფაქსის, ან ელ. ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს 2015 წლის 13 მარტის 18:00 საათისა.
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ქ-ნი ლალი დურმიშიძე, კომპონენტის დირექტორი
საქართველო, ქ. თბილისი, 0159,მარშალ გელოვანის გამზ 6.
ტელ: (99532 2376672
ელ. ფოსტა TO: lali.durmishidze@moa.gov.ge;
CC: iosebtchonkadze@moa.gov.ge;

◉ ალიან-ჩალიანი

## საქართველოს აშშ-ის მთავრობისა და პროფკავშირების დელეგაცია ესტუმრა

**დელეგაციის შემადგენლობაში აშშ-ის შრომის მინისტრის მოადგილე და ამერიკის პროფკავშირების AFL-CIO-ს შრომის საერთაშორისო სოლიდარობის ცენტრის ხელმძღვანელები არიან. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ცნობით, ვიზიტის ფარგლებში სტუმრები საქართველოს მთავრობის წევრებთან და სოციალურ პარტნიორებთან შეხვედრებს გამართავენ.**

**ალსანიშნავია, რომ ამერიკის მთავრობა საქართველოში პროფკავშირებთან ერთად ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს. პროექტი მიზნად ისახავს ქვეყანაში პროფკავშირების გაძლიერებას, მისი როლის ამაღლებას და შრომითი უფლებების იმპლემენტაციას სამუშაო ადგილებზე. პროეტის მიხედვით აქცენტი გაკეთდება საქართველოში შრომის უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციონირებასა და დასაქმებულთა იურიუდიული მომსახურების გაუმჯობესებაზე, შრომითი უფლებების დარღვევის პრევენციაზე. ამერიკის დელეგაცია შეეცდება, დაარწმუნოს საქართველოს ხელისუფლება, შრომის სახელმწიფო ინსპექციის აუცილებლობაში, — ნათქვამია განცხადებაში.**

## ექსპერტის აზრი რკინიგზის წილის გასხვისებასთან დაკავშირებით

**ექსპერტი ირაკლი ლექვინაძე „საქართველოს რკინიგზის" 25%-იანი წილის გასხვისებაში „არანაირ საფრთხეს არ ხედავს". „25%-ის გასხვისებაში მე არანაირ საფრთხეს არ ვხედავ. ეს არ არის ის მაჩვენებელი, რომელმაც შეიძლება, რომ ინვესტორს გენერალური გადაწყვეტილება მიაღებინოს რკინიგზის პოლიტიკასთან მიმართებაში.**

**რკინიგზა არის სტრატეგიული ობიექტი, რომელიც პოლიტიკის განმსაზღვრელია და მისით დემონსტრირება შეუძლია ინვესტორს, თუმცა მცირე წილის გასხვისება მას არ მისცემს საშუალებას, რომ თავისი პოლიტიკა გაატაროს", — განაცხადა ლექვინაძემ და დასძინა, რომ აქედან მოზიდული ფულით შესაძლებელია რკინიგზის ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო განვითარება.**

## მთავარ პროკურატურაში ახალი დეპარტამენტი შეიქმნა

**საქართველოს მთავარ პროკურატურაში სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი შეიქმნა.**

**აღნიშნული დეპარტამენტი გამოიძიებს საჯარო მოხელის მიერ ჩადენილ დანაშაულებს, რომლის შედეგადაც მოქალაქეებს ფიზიკური და მატერიალური ზიანი მიადგათ. კერძოდ, უწყების ცნობით, დეპარტამენტი ორიენტირებული იქნება, გამოიძიოს 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მთავარ პროკურატურაში შესულ საჩივარ-განცხადებებში მითითებული დანაშაულებრივი ფაქტები.**

**„მათგან პრიორიტეტი მიენიჭება ისეთი დანაშაულების გამოძიებას როგორიცაა: ქონების უკანონოდ ჩამორთმევისა და ძალადობის ფაქტები, რომელიც მოიცავს ცემა-წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და ყველა იმ დანაშაულს, რომლის ჩადენაშიც საჯარო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი იმხილება", — აცხადებენ პროკურატურაში.**

**მათივე ინფორმაციით, აღნიშნული დეპარტამენტი დაკომპლექტდა დეპარტამენტის უფროსის, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, 4 პროკურორის, 10 გამომძიებლის და 4 კოორდინატორის შტატით.**

**„დეპარტამენტის დაკომპლექტების პროცესში გათვალისწინებული იქნა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და კადრების შერჩევა მოხდა განსაკუთრებული სიფრთხილით. დეპარტამენტში გამომძიებლებად და პროკურორებად დაინიშნენ პირები, რომელთა მიმართ, მთავარ პროკურატურაში შემოსულ საჩივარ-განცხადებებში სამართლებრივი პრეტენზია არ ფიქსირდება", — აცხადებენ მთავარ საგამოძიებო უწყებაში.**

**ინტერპრესი**

ალიან-ჩალიანი

## ადლიის ნაპირგამაგრებითი სამუშაოები დასრულდა

**როგორც** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან იტყობინებიან პროექტი სსიპ „აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს“ დაკვეთით განხორციელდა.



მათივე ინფორმაციით, ადლიის განახლებული სანაპირო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი ამაშუკელმა და „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ დირექტორის მოადგილემ ირაკლი კუპრავამ დაათვალიერეს.

აჭარის სანაპირო ზოლის ადლიის მონაკვეთი 2013-2014 წლების სეზონური შტორმების დროს მნიშვნელოვნად დაზარალდა. გამოირეცხა პლაჟი, დაზიანდა ნაპირის გასწვრივ მდებარე ინფრასტრუქტურა — სასეირნო ბილიკის სავალი ნაწილი, დაინგრა ბეტონის საყრდენი კედელი. ამასთან, საფრთხე შეექმნა ზღვის კიდიდან 30-50 მეტრით დაშორებულ საავტომობილო გზას, რომელზეც, დღე-ღამეში, საშუალოდ, 6000-მდე მანქანა მოძრაობს.

პროექტის ფარგლებში, ადლიაში 1 კილომეტრამდე სიგრძის სანაპირო ზოლი გამაგრდა. აშენდა ქვანაყარი რომლის შრეებიც ისეა დაგეგმილი, რომ შტორმმა ნაგებობის გამორეცხვა ველარ მოახერხოს. განხორციელებული სამუშაოები მოხსნის პრობლემებს, რომელიც ადლიის სანაპირო ზოლის ამ მონაკვეთზე წლების განმავლობაში არსებობდა, სანაპიროს პლაჟს შეუნარჩუნებს და განაპირობებს მიმდებარე გზაზე მოძრავი მანქანების უსაფრთხოებას. პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა ღირებულებამ 5,3 მილიონი ლარი შეადგინა. სამუშაოებზე 100-მდე ადამიანი დასაქმდა.

## როგორი იქნება მირზა შაფის ქუჩა



**თბილისის** არქიტექტურის სამსახურმა და ინვესტორმა კომპანია შპს „აპოლომ“ თბილისში, მირზა შაფის ქუჩის განვითარების ესკიზური პროექტის შექმნაზე კონკურსი გამოაცხადეს. როგორც პრესკონფერენციაზე, არქიტექტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა ნინო ღოღობერიძემ განაცხადა, კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. კონკურსი ღიაა როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნის მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისთვის, ასევე, მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის.

„იმის გამო, რომ მირზა შაფის ქუჩა ძველი თბილისის ნაწილია, მის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია. ბოლო წლების განმავლობაში თბილისის არქიტექტურის სამსახურს ქუჩის განვითარების არაერთი კონცეფცია წარედგინა, თუმცა, არც ერთი მოცემულ სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა. არქიტექტურის სამსახურისა და ინვესტორი კომპანიის რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად, მიმდინარე წლის 23 თებერვალს გაფორმდა მირზა შაფის ქუჩის განვითარების ესკიზური პროექტის კონკურსის გზით შერჩევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც ხელს აწერენ თბილისის მერიის, თბილისის საკრებულოს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და შპს „აპოლო გ.ს.“-ს წარმომადგენლები“, — განაცხადა ღოღობერიძემ. კონკურსის ფარგლებში გამოვლინდება 3 საუკეთესო ესკიზური პროექტი. I, II და III ადგილებზე გასულ კონკურსანტებს ჯილდოს სახით 20000, 7000 და 3000 აშშ დოლარი გადაეცემა და თანხას ინვესტორი კომპანია გამოყოფს. გამარჯვებული სამი კომპანიიდან თუ რომელი განახორციელებს სამუშაოებს, ამას უშუალოდ ინვესტორი კომპანია აირჩევს.

## მტირალას ეროვნული პარკი ტურისტული სეზონისთვის ემზადება

**განახლებული** ინფრასტრუქტურა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ელგუჯა ხოკრიშვილმა დაათვალიერა. უწყების ინფორმაციით, მტირალას ეროვნულ პარკში ვიზიტორთა ცენტრი, ტურისტული თავშესაფარი, საკემპინგე, საკარვე ადგილები მოეწყო.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, კავკასიის ბუნების ფონდის WWF-ის მხარდაჭერით ხორციელდება რამდენიმე პროექტი, რომელშიც ჩართულია ადგილობრივი მოსახლეობა. „კერძოდ, ადგილობრივები მტირალას ეროვნულ პარკში მისულ ტურისტებს ადგილობრივ პროდუქციას მიაწვდიან. დაგეგმილია, ასევე მცირე გრანტების პროგრამის ხელშეწყობით საოჯახო ტიპის სასტუმროების განვითარებაც“, — აცხადებენ სამინისტროში.

ინტერპრესი

# სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

# აუქციონს

## მის საკუთრებაში არსებული 10 ერთეული მიწის ნაკვეთის გაყიდვის მიზნით

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**
საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს;

**ინფორმაცია გასაყიდი ქონების შესახებ:**
თითოეული მიწის ნაკვეთი აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება ცალ-ცალკე ლოტად;

**მესაკუთრე:** ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;

**ქონების ადგილმდებარეობა:** დუშეთის რ-ნი სოფელი აში და დუშეთის რ-ნი სოფელი ქვემო აში. (საკადასტრო კოდები თითოეული მიწის ნაკვეთისთვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში) (იხ. დანართი);

**საწყისი სააუქციონო ფასი:**
თითოეული მიწის ნაკვეთისათვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში (იხ. დანართი);

**აუქციონში მონაწილეობის „ბე“:** თითოეული მიწის ნაკვეთისათვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში (იხ. დანართი);

**აუქციონის „ბიჯი“-ს ოდენობა:** თითოეული მიწის ნაკვეთისათვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში (იხ. დანართი);

**აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი:** მონაწილის ბილეთი შეძენილ უნდა იქნეს თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე, ბილეთის ფასი — **50** (ორმოცდაათი) ლარი;

**თანხის გადახდის ვადები:** მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილეზე, განსაკარგი ქონების დასახელებას და საწყის საფასურს;

ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საანგარიშსწორებო ანგარიშზე (ს.ს „ლიბერთი ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის #GE86LB1141444853530000 საიდენტიფიკაციო კოდი 204995176) ან საბანკო გარანტია;

გ) მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტი) მონაცემები (ქსეროასლები) (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, (რწმუნებულება) თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს (წესდება, სასამართლოს დადგენილება დაფუძნების შესახებ, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმი ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (წესდების შესაბამისად) აუქციონში მონაწილეობის შესახებ).

**ინფორმაცია განაცხადების მიღების შესახებ:**
აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 20 მარტს 15.00 საათზე, აუქციონის ჩატარების მისამართი: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, IV სართული, სააქტო დარბაზი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს 2015 წლის 4 მარტიდან 2015 წლის 20 მარტის ჩათვლით 12.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, IV სართული, ოთახი № 416, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია.

**დამატებითი ინფორმაცია:**
სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში (ჟურნალში) განაცხადის რეგისტრაციისა და მონაწილის ბილეთის შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 50 ლარს, რომელიც ასევე უნდა იქნეს გადახდილი ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ზემოაღნიშნულ ანგარიშზე.

აუქციონში გამარჯვებულის (მყიდველის) მიერ გადახდილი „ბეს“ თანხა ჩაითვლება ქონების საბოლოო გასაყიდი ფასის გადახდისას. სხვა მონაწილეებს, აუქციონში მონაწილეობის, აუქციონზე ვერ გამარჯვების შემთხვევაში გადახდილი „ბეს“ თანხა უბრუნდებათ უკან.

მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს/საბანკო გარანტიის დაუკავებლად წერილობით უარი განაცხადოს აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში — 2015 წლის 4 მარტიდან 2015 წლის 20 მარტის ჩათვლით 15.00 სთ-მდე. სხვა შემთხვევაში — აუქციონზე გამოუცხადებლობა, ან აუქციონში მონაწილეობის არ მიღება — გადახდილი „ბეს“ თანხა უკან არ უბრუნდება.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის მაქსიმალური გასაყიდი ფასის (არანაკლებ საწყისი სააუქციონო ღირებულებას დამატებული ერთი ბიჯის ოდენობა) გადახდა.

აუქციონის ორგანიზება ხორციელდება ს.ს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 07.11.2011წ №291 ბრძანებით დამტკიცებული „ს.ს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების გაყიდვის, აგრეთვე დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის, წესის“ შესაბამისად.

**აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge**

**ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“**
**საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი**
**ტელეფონი: ქალაქის 2-510-281 მობილურის 577 240-233**

| # | მიწის ფართი კვ.მ | მისამართი | საკადასტრო კოდი | საწყისი სააუქციონო ფასი (დღგ-ს ჩათვლით) | „ბიჯის“ ოდენობა | „ბე“-ს ოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 266 | დუშეთის რ-ნი, სოფელი აში | 71.63.58.081 | 25 596 | 500 | 2500 |
| 2 | 1 300 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.083 | 7 800 | 150 | 800 |
| 3 | 4 831 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.089 | 28 986 | 600 | 3000 |
| 4 | 106 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.098 | 424 | 10 | 40 |
| 5 | 106 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.113 | 424 | 10 | 40 |
| 6 | 142 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.092 | 568 | 10 | 60 |
| 7 | 114 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.096 | 456 | 10 | 45 |
| 8 | 114 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.099 | 456 | 10 | 45 |
| 9 | 66 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.116 | 264 | 5 | 25 |
| 10 | 114 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.097 | 456 | 10 | 45 |

# სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს აუქციონს

## მის ბალანსზე რიცხული 8 ერთეული ავტო-სატრანსპორტო საშუალების გაყიდვის მიზნით

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**
საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს;

**ინფორმაცია გასაყიდი ქონების შესახებ:**
თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალება აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება ცალ-ცალკე ლოტად;

**მესაკუთრე:** ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;

**ქონების ადგილმდებარეობა:** ავტოსატრანსპორტო საშუალებები განთავსებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში;

**საწყისი სააუქციონო ფასი:**
თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში (იხ. დანართი);

**აუქციონში მონაწილეობის „ბე“:** თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში (იხ. დანართი);

**აუქციონის „ბიჯი“-ს ოდენობა:** თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში (იხ. დანართი);

**აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი:** მონაწილის ბილეთი შეძენილ უნდა იქნეს თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე, ბილეთის ფასი - **50** (ორმოცდაათი) ლარი;

**თანხის გადახდის ვადები:** მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**
ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილეზე, განსაკარგი ქონების დასახელებას და საწყის საფასურს;
ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საანგარიშსწორებო ანგარიშზე (ს.ს „ლიბერთი ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის #GE86LB114144485353000 საიდენტიფიკაციო კოდი 204995176) ან საბანკო გარანტია;
გ) მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტი) მონაცემები (ქსეროასლები) (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, (რწმუნებულება) თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს (წესდება, სასამართლოს დადგენილება დაფუძნების შესახებ, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმი ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (წესდების შესაბამისად) აუქციონში მონაწილეობის შესახებ).

**ინფორმაცია განაცხადების მიღების შესახებ:**
აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 12 მარტს 15.00 საათზე, აუქციონის ჩატარების მისამართი: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, IV სართული, სააქტო დარბაზი.
აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს 2015 წლის 4 მარტიდან 2015 წლის 12 მარტის ჩათვლით 12.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, IV სართული, ოთახი №416, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია.

**დამატებითი ინფორმაცია:**
სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში (ჟურნალში) განაცხადის რეგისტრაციისა და მონაწილის ბილეთის შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 50 ლარს, რომელიც ასევე უნდა იქნეს გადახდილი ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ზემოაღნიშნულ ანგარიშზე.

აუქციონში გამარჯვებულის (მყიდველის) მიერ გადახდილი „ბეს“ თანხა ჩაითვლება ქონების საბოლოო გასაყიდი ფასის გადახდისას. სხვა მონაწილეებს, აუქციონში მონაწილეობის, აუქციონზე ვერ გამარჯვების შემთხვევაში გადახდილი „ბეს“ თანხა უბრუნდებათ უკან.

მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად წერილობით უარი განაცხადოს აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში – 2015 წლის 4 მარტიდან 2015 წლის 12 მარტის ჩათვლით, 15.00 სთ-მდე. სხვა შემთხვევაში – აუქციონზე გამოუცხადებლობა, ან აუქციონში მონაწილეობის არ მიღება – გადახდილი „ბეს“ თანხა უკან არ უბრუნდება.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის მაქსიმალური გასაყიდი ფასის (არანაკლებ საწყისი სააუქციონო ღირებულებას დამატებული ერთი ბიჯის ოდენობა) გადახდა.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს შეძენილი ქონების მის სახელზე რეგისტრაციასთან (გადაფორმებასთან) დაკავშირებული ყველა ხარჯის გაწევა ს.ს.ი.პ. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეობის სააგენტო“-ში.

აუქციონის ორგანიზება ხორციელდება ს.ს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 07.11.2011წ №291 ბრძანებით დამტკიცებული „ს.ს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების გაყიდვის, აგრეთვე დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის, წესის“ შესაბამისად.

**აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge**

**ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“**
**საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი**
**ტელეფონი: ქალაქის 2-510-281**
**მობილურის 577 240-233**

### სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ბალანსზე რიცხული ავტომობილების ჩამონათვალი

| № | უნიკალური კოდი | აქტივის დასახელება | სახელმწიფო ნომერი | ადგილმდებარეობა | საწყისი სააუქციონო ფასი (ლარი) | ბიჯის ოდენობა | "ბე"-ს ოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 3 | 4 | 5 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | 003702+ | ა/მ ვაზ-2107 | ADE-079 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 600 | 15 | 60 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს: ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |
| 2 | 003730+ | ა/მ გაზ-3110 | GIC-351 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს: ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |
| 3 | 003731 | ა/მ გაზ-31029 | AMA-751 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს: ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |
| 4 | 003732+ | ა/მ გაზ-31110 | VVA-909 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 1800 | 40 | 180 | მანქანა საჭიროებს ძრავის სახურავის რემონტს |
| 5 | 003734+ | ა/მ გაზ-3110 | ADO-056 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს: ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |
| 6 | 008415+ | ა/მ ვაზ-21083 | ACR-866 | ქ. თბილისი, ბარათაშილის ქ#2 | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს ძრავის, სავალი ნაწილების და გადაცემათა კოლოფის რემონტს |
| 7 | 008364+ | ა/მ გაზ 3110 | DAZ-392 | ქ. ზუგდიდი, აჭარა-გურია-სამეგრელოს რეგ. ს/ცენტრი | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს: ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |
| 8 | 008422+ | ა/მ მოსკვიჩი - 2715-იჟ | BAH-674 | ქ. ქობულეთი, აჭარა-გურია-სამეგრელოს რეგ. ს/ცენტრი | 800 | 20 | 80 | მანქანა საჭიროებს რემონტს: ძრავის, სავალი ნაწილების და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |

**ალიან-ჩალიანი**

# აღნიშნეს ზრუნვის საერთაშორისო დღე



**თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა, დილმის მაჟორიტარმა დეპუტატმა თარაშ შურღაიამ და თბილისის ბაგა-ბაღების მართვის დირექტორის მოადგილემ ნინო ბურძენიძემ სმენადაქვეითებულთა ბაღის აღსაზრდელებს სმენაზე ზრუნვის საერთაშორისო დღე მიულოცეს. ბავშვებმა სტუმრებს საკუთარი ნახატების გამოფენა დაათვალიერებინეს და ზეიმი გამართეს. როგორც თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, ამ ბავშვებზე ზრუნვა ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.**

**თარაშ შურღაიას განცხადებით, აღნიშნულ ბაღში 6 სმენადაქვეითებული ბავშვი, ხოლო 15 სხვადასხვა დარღვევების მქონე აღსაზრდელი ირიცხება. მიმდინარე წელს რამდენიმე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა იგეგმება. როგორც თბილისის ბაღების მართვის სააგენტოში აცხადებენ, თითოეული მათგანი მორგებული იქნება ისეთ ბავშვებზე, რომლებიც განსაკუთრებულ მოვლასა და სწავლებას საჭიროებენ.**

# ჯარიმაზე გამოცხადებული ამნისტია ამოქმედდა



**იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ამნისტიას ითვალისწინებს, უკვე ამოქმედდა.**

**ამნისტიის კანონის მიხედვით, დაკისრებული ჯარიმებისა და საურავებისაგან სრულად თავისუფლდებიან ის პირები, რომლებმაც უბილეთოდ იმგზავრეს მუნიციპალური ტრანსპორტით და ეს სამართალდარღვევა 2015 წლის 1 იანვრამდე ჩაიდინეს. საერთო ჯამში, სახელმწიფო სამართალდამრღვევებს მილიონ ორასი ათასამდე ლარის გადახდის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს. მათივე ინფორმაციით, გამოცხადებული ამნისტიის შედეგად ჯარიმებისაგან 20850 პირი თავისუფლდება. ამჟამად იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ წარმოებაშია მუნიციპალური ტრანსპორტით უბილეთოდ მგზავრობასთან დაკავშირებით 21000-ზე მეტი საქმე.**

**მნიშვნელოვანია, რომ იმ პირთა დიდი უმრავლესობა, რომელთაც მუნიციპალური ტრანსპორტით უბილეთოდ მგზავრობისათვის ჯარიმა დაეკისრათ, სოციალურად დაუცველი, პენსიონერი ან სტუდენტია. სახდელისაგან გათავისუფლება, ერთი მხრივ, მოქალაქეებს მცირედ ფინანსურ შეღავათს მისცემს, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოსაც გაათავისუფლებს ასეთი საქმეების აღსრულებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი ოდენობის ადმინისტრაციული რესურსის ფუჭად ხარჯვისაგან.**

**ინტერპრესი**

ალიან-ჩალიანი

## ოღონდ ეკონომიკის მინისტრი კინოსტუდიაში მოვიდეს და სუფრასაც გავუშლით და ვუმღერებთ



ამის შესახებ რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ განაცხადა, რომელმაც კოლეგებთან ერთად პარლამენტში გამართულ დახურულ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

კინოსტუდია „ქართული ფილმის" მართვაში გადაცემასთან დაკავშირებით შენგელაია ამბობს, რომ კინოსტუდია კინემატოგრაფისტებმა უნდა მართონ. რეჟისორი იმასაც აცხადებს, აქვთ თუ არა გარანტია იმისა, რომ მართვის უფლებით მოსული პირი კინოსტუდიის ტერიტორიას არ გაყიდის?

„კულტურის მინისტრმა თქვა, რომ ეს არის ჭიქაში ქარიშხალი. მე ასე არ ვფიქრობ. ძალიან კარგი საუბარი გაიმართა. იმედი მაქვს, რომ უახლოეს ხანში კინომატოგრაფისტები ეკონომიკის მინისტრს და კულტურის მინისტრს შევხვდებით და ბოლოს და ბოლოს „ქართული ფილმის" დირექტორი დაინიშნება. კინოსტუდიას ძალიან დიდი მიღწევები აქვს და გიორგი კვირიკაშვილი აუცილებლად უნდა მოვიდეს — თუკი შენ კინოსტუდიას მართავ, უნდა იცოდე, რა გაკეთდა. მან თავის თვალით უნდა ნახოს, ბოლოს და ბოლოს სუფრას გავუშლით, ოღონდ მოვიდეს, სიმღერას ვუმღერებთ", — განუცხადა ჟურნალისტებს ელდარ შენგელაიამ.

რეჟისორები ეკონომიკის მინისტრს, ვიცე-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორად ოთარ ლითანიშვილის დანიშვნას სთხოვენ.

## კულტურის სამინისტრომ საყდრისის თემას უნდა გადახედოს



სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მთავრობისა და კულტურის სამინისტროს საჩივარი და ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც კულტურის სამინისტროს საყდრისი-ყაჩაღიანისთვის ისტორიული ძეგლის სტატუსის მოხსნის გადაწყვეტილების გადახედვა დაევალა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაუქმდა ის დადგენილება, რომლის მიხედვითაც საყდრისი-ყაჩაღიანს ძეგლის სტატუსი შეუწყდა. ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება კულტურის სამინისტროს და ყველა იმ საჯარო უწყებას, რომელიც საჩივრის მონაწილეა, 21-დღიან ვადაში შეუძლია გაასაჩივროს.

მოსამართლეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადებას მოსაჩივრე მხარეებიდან მხოლოდ RMG Gold-ის წარმომადგენელი ესწრებოდა, კულტურის სამინისტროს, მთავრობის, ეკონომიკის სამინისტროსა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს წარმომადგენლები კი, პროცესზე არ მივიდნენ. მოპასუხე მხარის „მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენლის ნინო გუჯარაიძის განცხადებით, სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნა უკანონო იყო.

„სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც კულტურის სამინისტრომ საყდრისისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის დროს არ დაიცვა სამართლებრივი პროცედურები. კერძოდ, საკითხი არ იყო სრულფასოვნად შესწავლილი და ძეგლს ისე გაუუქმდა სტატუსი. ჩვენ დავეთანხმეთ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაში და მივმართეთ თხოვნით, რომ ძეგლის სტატუსის შეწყვეტის კანონიერებაზე თავად ემსჯელა, თუმცა, სასამართლო არ დაგვეთანხმა და ეს დაავალა კულტურის სამინისტროს", — განაცხადა ნინო გუჯარაიძემ.

გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდნენ საყდრისის დაცვის კომიტეტის წევრებიც, რომლებიც მოსამართლის გადაწყვეტილების გამოცხადებას ტაშით შეხვდნენ. კომიტეტის წარმომადგენელმა ნინო ბურჭულაძემ განაცხადა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილია, თუმცა მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება სიმბოლურია და ზეგავლენას ვერ მოახდენს საყდრისზე მიმდინარე სამუშაოების შეჩერებაზე. მისი თქმით, საყდრისის დაცვის კომიტეტი ძალისხმევას მიმართავს პარლამენტისკენ, სადაც უახლოეს დღეებში იგეგმება საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხის განხილვა.

ინტერპრესი


# სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს

# აუქციონს

## მის ბალანსზე რიცხული 5 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვის მიზნით

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**
საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს;

**ინფორმაცია გასაყიდი ქონების შესახებ:**
თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალება აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება ცალ-ცალკე ლოტად;

**მესაკუთრე:** ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა";

**ქონების ადგილმდებაროება:** ავტოსატრანსპორტო საშუალებები განთავსებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში;

**საწყისი სააუქციონო ფასი:**
თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში (იხ. დანართი);

**აუქციონში მონაწილეობის „ბე":** თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში (იხ. დანართი);

**აუქციონის „ბიჯი"-ს ოდენობა:** თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში (იხ. დანართი);

**აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი:** მონაწილის ბილეთი შეძენილ უნდა იქნეს თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე, ბილეთის ფასი - **50** (ორმოცდაათი) ლარი;

**თანხის გადახდის ვადები:** მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**
ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილეზე, განსაკარგი ქონების დასახელებას და საწყის საფასურს;
ბ) „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" საანგარიშსწორებო ანგარიშზე (ს.ს ,,ლიბერთი ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის #GE86LB114144485353000 საიდენტიფიკაციო კოდი 204995176) ან საბანკო გარანტია;
გ) მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტი) მონაცემები (ქსეროასლები) (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, (რწმუნებულება) თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს (წესდება, სასამართლოს დადგენილება დაფუძნების შესახებ, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმი ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (წესდების შესაბამისად) აუქციონში მონაწილეობის შესახებ).

**ინფორმაცია განაცხადების მიღების შესახებ:**
აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 13 მარტს 15.00 საათზე, აუქციონის ჩატარების მისამართი: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, IV სართული, სააქტო დარბაზი.
აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს 2015 წლის 4 მარტიდან 2015 წლის 13 მარტის ჩათვლით 12.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. 32, IV სართული, ოთახი №416, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია.

**დამატებითი ინფორმაცია:**
სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში (ჟურნალში) განაცხადის რეგისტრაციისა და მონაწილის ბილეთის შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 50 ლარს, რომელიც ასევე უნდა იქნეს გადახდილი ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ზემოაღნიშნულ ანგარიშზე.

აუქციონში გამარჯვებულის (მყიდველის) მიერ გადახდილი „ბეს" თანხა ჩაითვლება ქონების საბოლოო გასაყიდი ფასის გადახდისას. სხვა მონაწილეებს, აუქციონში მონაწილეობის, აუქციონზე ვერ გამარჯვების შემთხვევაში გადახდილი „ბეს" თანხა უბრუნდებათ უკან.

მონაწილეს უფლება აქვს „ბე"-ს დაუკავებლად წერილობით უარი განაცხადოს აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში — 2015 წლის 4 მარტიდან 2015 წლის 13 მარტის ჩათვლით, 15.00 სთ-მდე. სხვა შემთხვევაში — აუქციონზე გამოუცხადებლობა, ან აუქციონში მონაწილეობის არ მიღება — გადახდილი „ბეს" თანხა უკან არ უბრუნდება.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის მაქსიმალური გასაყიდი ფასის (არანაკლებ საწყისი სააუქციონო ღირებულებას დამატებული ერთი ბიჯის ოდენობა) გადახდა.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს შეძენილი ქონების მის სახელზე რეგისტრაციასთან (გადაფორმებასთან) დაკავშირებული ყველა ხარჯის გაწევა ს.ს.ი.პ. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეობის სააგენტო"-ში.

აუქციონის ორგანიზება ხორციელდება ს.ს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" 07.11.2011წ №291 ბრძანებით დამტკიცებული „ს.ს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების გაყიდვის, აგრეთვე დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის, წესის" შესაბამისად.

**აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge**

**ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"**
**საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი**
**ტელეფონი: ქალაქის 2-510-281 მობილურის 577 240-233**

### სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ბალანსზე რიცხული ავტომობილების ჩამონათვალი

| № | უნიკალური კოდი | აქტივის დასახელება | სახელმწიფო ნომერი | ადგილმდებარეობა | გამოშვების წელი | საწყისი სააუქციონო ფასი (ლარი) | ბიჯის ოდენობა | "ბე"-ს ოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 1 | 003738 | ოპელ ომეგა | RAC-927 | თბილისი, ნაკადულის 2ა | 1989 | 300 | 20 | 30 |
| 2 | 003716 | გაზ 3110 | ZUR-775 | თბილისი, ნაკადულის 2ა | 2000 | 150 | 10 | 20 |
| 3 | 003736 | გაზ 3110 | LLK-364 | თბილისი, ნაკადულის 2ა | 2000 | 750 | 40 | 80 |
| 4 | 006808 | ა/მანქანა გაზ-31029 DDD-455 | DDD-455 | ქუთაისი, იმერეთის რეგ.ს/ცენტრი | 1994 | 325 | 20 | 40 |
| 5 | 00859 | ა/მანქანა ვაზ-2109 FFS-299 | FFS-299 | ზუგდიდი, აჭარა-გურია-სამეგრელოს რეგ. ს/ცენტრი | 1988 | 150 | 10 | 20 |

# სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

# აუქციონს

## მის ბალანსზე რიცხული, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული თავისუფალი ფართების, იჯარის ფორმით (დროებით სასყიდლიან სარგებლობაში) გადაცემის მიზნით

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**
საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.
**ინფორმაცია იჯარით გასაცემი ქონების (თავისუფალი ფართების) შესახებ:**
თითოეული ფართი აუქციონზე გამოტანილი იქნება ცალ-ცალკე ლოტებად.
**მესაკუთრე:** ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.
**ქონების ადგილმდებარეობა:** მითითებულია თანდართულ დანართში.
ყოველთვიური საწყისი საიჯარო ქირა:
თითოეული ფართისთვის (ქონებისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში, ლოტების მიხედვით (იხ. დანართი).
**აუქციონში მონაწილეობის „ბე“:** თითოეული ფართისთვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში. (იხ.დანართი)
**აუქციონის „ბიჯი“-ს ოდენობა:** თითოეული ფართისთვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში. (იხ.დანართი)
**მონაწილის ბილეთის ფასი:** მონაწილის ბილეთი შეძენილ უნდა იქნეს თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე, ბილეთის ფასი — **50** (ორმოცდაათი) ლარი.
**იჯარით გასაცემი ქონების (თავისუფალი ფართების) პირობები (დანიშნულება):** აღნიშნულია თანდართულ დანართში.
**იჯარის ხანგრძლივობა:** 1 (ერთი) წელი.

**თანხის გადახდის ვადები:** აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ყოველთვიური საიჯარო ქირა გადაიხადოს სათანადო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**
ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილეზე და განსაკარგი ქონების დასახელებას, ლოტის ნომერს და საწყის საფასურს;
ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საანგარიშსწორებო ანგარიშზე (ს.ს „ლიბერთი ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის #GE86LB114144485353000 საიდენტიფიკაციო კოდი 204995176) ან საბანკო გარანტია;
გ) მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტი) მონაცემები (ქსეროასლები) (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
ე) ნოტარულად დამოწმებული მინდობილობა, (რწმუნებულება) თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს (წესდება, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმი ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (წესდების შესაბამისად) აუქციონში მონაწილეობის შესახებ).

ინფორმაცია განაცხადების მიღების შესახებ:
აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 23 მარტს 15.00 საათზე, აუქციონის ჩატარების მისამართი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, IV სართული, სააქტო დარბაზი.
აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს 2015 წლის 4 მარტიდან 2015 წლის 23 მარტის ჩათვლით 12.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, IV სართული, ოთახი №416, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია.

**დამატებითი ინფორმაცია:**
საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში (ჟურნალში) განაცხადის რეგისტრაციისა და მონაწილის ბილეთის შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 50 ლარს, რომელიც ასევე უნდა იქნეს გადახდილი ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ზემოაღნიშნულ ანგარიშზე.

აუქციონში გამარჯვებულის („მოიჯარის“) მიერ გადახდილი „ბეს“ თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას. სხვა მონაწილეებს, აუქციონში მონაწილეობის, აუქციონზე ვერგამარჯვების შემთხვევაში გადახდილი „ბეს“ თანხა უბრუნდებათ უკან.

მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს/საბანკო გარანტიის დაუკავებლად წერილობით უარი განაცხადოს აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში — 2015 წლის 4 მარტიდან 2015 წლის 23 მარტის ჩათვლით 15.00 სთ-მდე. სხვა შემთხვევაში — აუქციონზე გამოუცხადებლობა, ან აუქციონში მონაწილეობის არ მიღება — გადახდილი„ბეს“ თანხა უკან არ უბრუნდება.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის — თავისუფალი ფართის მაქსიმალური საიჯარო ქირის (არანაკლებ საწყის საიჯარო ქირას დამატებული ერთი ბიჯის ოდენობა) გადახდა.

აუქციონის ორგანიზება ხორციელდება ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 07.11.2011წ №291 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული „ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების გაყიდვის, აგრეთვე დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად.

**ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“**
**საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი**
**ტელეფონი: ქალაქის 2-510-281 მობილურის 577 240-233**

### იჯარით გასაცემი თავისუფალი ფართების ჩამონათვალი: (საუქციონო პირობები)

| ლოტის № | ობიექტის მისამართი | დანიშნულება | ფართი (კვ.მ) | მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობა (ლარი) დღგ–ს ჩათვლით | ბიჯი-ს სიდიდე-ოდენობა | ბე-ს ოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. სენაკი, ქ/ს „მენჯი–220“ ჯანაშიას ქ.#2 | ანძაზე ანტენების განთავსების უფლება | 30 | 44.01.37.054 | 1260 | 60 | 1260 |
| 2 | ქ. ხაშური, გაგარინის ქ #80, ქ/ს „ხაშური–220 “ | ანძაზე ანტენების განთავსების უფლება | 24 | 69.08.37.077 | 950 | 50 | 950 |
| 3 | ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი #5 | | 100 | 66.45.13.032 | 500 | 100 | 100 |

**აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge**

ალიან-ჩალიანი



## იწყება საარჩევნო სიის დაზუსტების მომდევნო ეტაპი

**იუსტიციის სამინისტრო საარჩევნო სიის დაზუსტების მომდევნო ეტაპს იწყებს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება, შედეგად კი მოხდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზებში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება, მათი აღმოფხვრა და საარჩევნო სიების ამ გზით სრულყოფა.**
**„პირველ რიგში, შემოწმდება გაორებული ჩანაწერები. მოხდება გარდაცვლილთა ფოტოსურათების შედარება, გაორებების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა. გაორებული ჩანაწერების შემოწმება განხორციელდება სრულწლოვნებისა და იმ არასრულწლოვნების მიმართაც, რომლებსაც 2016 წლის ნოემბრამდე უსრულდებათ 18 წელი. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის უკვე განხორციელდა პროექტის პირველი ეტაპი „მონაცემთა ბაზაში არსებული გაორებების იდენტიფიკაცია და აღმოფხვრა“, რომლის ფარგლებშიც გაუქმდა საარჩევნო ხმის უფლების მქონე სრულწლოვან პირთა გაორებული ჩანაწერები. იმავე პროექტის ფარგლებში, საქართველოში პირველად შეიქმნა ბიომეტრული ფოტოსურათებიანი საარჩევნო სია, რაც საარჩევნო უბანზე ე.წ. კარუსელების თავიდან აცილების ერთ-ერთი მექანიზმია“, — აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.**
**მათივე ინფორმაციით, საარჩევნო სიების დაზუსტების ამ ეტაპზე, ასევე შედარდება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში არსებული მონაცემთა ბაზები სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციასთან, რის შემდგომაც მოხდება გარდაცვლილ პირთა იდენტიფიცირება და შემდგომი საქმისწარმოება.**
**უწყების ცნობით, დღეის მდგომარეობით, მცირე რაოდენობით, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მონაცემთა ბაზაში ინახება გარდაცვლილი მოქალაქის აქტიური ჩანაწერი. ასეთი შემთხვევები, ძირითადად, გვხვდება მაშინ, როდესაც მოქალაქე გარდაცვლილია საზღვარგარეთ ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში არ არის დარეგისტრირებული გარდაცვალების აქტი.**
**როგორც იუსტიციის სამინისტროში განმარტავენ, საარჩევნო სიის ფორმირების პროცესში პრობლემას ქმნის სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებული საკონსულო სამსახურების მიერ გაცემული ისეთი დოკუმენტები, რომლებზეც არ ირიცხება ფოტოსურათები. ამიტომ მოხდება საკონსულო არქივების დიგიტალიზაცია და მოქალაქეთა ფოტოსურათების მონაცემთა ბაზაში განთავსება, რაც მასშტაბური სამუშაოა.**
**ამ ეტაპზე საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს 20 ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ბოლნისი, თელავი, გურჯაანი, საგარეჯო, გორი, ახალციხე, ზესტაფონი, სამტრედია, ქუთაისი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, მცხეთა და ხაშური) მთლიანად დაასრულა ქუჩებისა და მათი დასახელებების, გზების პარამეტრებისა და საგზაო ნიშნების აღწერა-ინვენტარიზაცია. აქედან 18 ქალაქის (400 000-მდე ობიექტი) დამისამართება 2013-2014 წლებში დასრულდა. სრულად დაინომრა ამ ქალაქების ქუჩებზე მდებარე შენობა-ნაგებობები და ბინები. დამისამართების პროექტის ფარგლებში ბევრ უმისამართო და დაუნომრავ უძრავ ქონებას მისამართი მიენიჭა, ათასობით მოქალაქემ შეძლო პირადობის მოწმობის და სხვა დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.**
**სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე თბილისში მისამართების სისტემური ნუმერაცია და არასწორი მისამართების კორექტირება ხორციელდება.**

## საქართველოში ამინდი გაუარესდება

**4 მარტიდან მთელი საქართველოს მასშტაბით ამინდი გაუარესდება. როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურში განაცხადეს, დღეს ქვეყნის მასშტაბით ზოგან, მათ შორის თბილისში მოსალოდნელია წვიმა, მთაში — თოვლი. 4 მარტიდან კი ამინდი კიდევ უფრო გაუარესდება, დასავლეთ საქართველოში — ყველგან, აღმოსავლეთ საქართველოში ზოგად მოსალოდნელია წვიმა, გაძლიერდება ქარი.**
**ინტერპრესი**

**წინ, საქართველო!**



# უკვე პირველები ვართ

**ევროპის ჩემპიონატი. მადრიდი**

**ესპანეთი-საქართველო 13:26**

**ესპანეთი:** ლინქლეითერი, გოია (ფონტესი 59), პოხი, ვიზენსანგი, ობანელი, სნი, რუე. ლაბე (ორტისი 71), აუსკი, მორენო (ლოპესი 57), გონსალესი (დე ხუანი 57), რეკუერდა, ჟიუბენი, ვილანოვა, ნავა.

**საქართველო:** კვირიკაშვილი, მჭედლიძე (ხუციშვილი 73), კაჭარავა, შარიქაძე, თოდუა, ხმალაძე (აფციაური 76), ხუციშვილი (ლობჟანიძე 59), ნარიაშვილი (ასეიშვილი 59), ჟვანია (მაისურაძე 45), ჩილაჩავა (ფეიქრიშვილი 59), ნემსაძე, მიქაუტაძე (დათუნაშვილი 63), თხილაიშვილი, სუთიაშვილი, ლომიძე (ჩხაიძე 74).

„რაგბი ევროპის ჩემპიონატის“ მესამე ტურის მატჩი მადრიდის უნივერსიტეტის სტადიონზე გაიმართა. ესპანეთის ნაკრებმა „ბორჯღალოსნებს“ უმასპინძლა. ანგარიში პირენეელებმა გახსნეს საჯარიმო დარტყმით. მე-12 წუთზე მერაბ კვირიკაშვილმა წონასწორობა აღადგინა – 3:3. თოთხმეტი წუთის შემდეგ ესპანელები ისევ დაწინაურდნენ – ამჯერად ლელოთი და ზუსტი გარდასახვით – 10:3. ტაიმის მიწურულამდე ჩვენმა ბიჭებმა ანგარიში ისევ გაათანაბრეს – 13:13. შესვენების შემდეგ სრულ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ. საბოლოოდ ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა კიდეც – 26:13 და 13 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში გადაინაცვლა.

ამავე ტურში რუსეთის ნაკრებმა კრასნოდარში რუმინეთის ეროვნული გუნდი დაამარცხა 16:13, ხოლო პორტუგალიამ შინ გერმანიას აჯობა - 11:3.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | +74 | 1 | 13 |
| რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +45 | 3 | 11 |
| რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | +4 | 1 | 9 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -11 | 1 | 5 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | -24 | 1 | 5 |
| გერმანია | 3 | 0 | 0 | 3 | -88 | 0 | 0 |

**14 მარტი. საქართველო-რუსეთი, პორტუგალია-ესპანეთი, გერმანია-რუმინეთი.**

**ვაჟა ნოსირელი**

**ექვსი ერის თასი. III ტური.**

საფრანგეთი – უელსი 13:20, ირლანდია – ინგლისი 19:9, შოტლანდია – იტალია 19:22.

ირლანდია – 3, ინგლისი, უელსი – 2-2, საფრანგეთი, იტალია – 1-1, შოტლანდია – 0 მოგება.

**მშვილდოსნობა**

# კოპერული „ვერცხლით“



**სლოვენიურ კოპერში გამართულ მშვილდოსანთა ევროპის ზამთრის ჩემპიონატში შესანიშნავად იასპარეზეს ქართველმა ჩუბინებმა, რომლებმაც ორი ვერცხლის მედალი დაიმსახურეს. პირადი პირველობის ფინალში გააღწია ხათუნა ნარიმანიძემ, სადაც მისი წინსვლა გერმანელმა ვერონიკა ჰაიდნი-ჩკალოვამ შეაჩერა. პირველი ორი ხელი ქართველმა მშვილდოსანმა მინიმალური სხვაობით წააგო – 28:29; 29:30. მომდევნო პარტიებში ვითარების გამოსწორების შანსი მაინც რჩებოდა, თუმცა ვერ გამოიყენა – ორივე სეტი ფრედ (29:29) დაასრულა და საბოლოოდ 2:6 წააგო.**

ჩვენი სპორტსმენები გუნდურშიც (ხათუნა ნარიმანიძე, იულია ლობჟანიძე, ქრისტინე ესებუა) გავიდნენ ფინალში და იქაც გერმანელებთან დათმეს გადამწყვეტი პაექრობა. არადა, პირველი პარტია ჩვენებმა მოიგეს – 57:56, მომდევნო სამი კი დათმეს – 56:58; 57:60; 54:58. მესამე ადგილისთვის პაექრობაში იტალიამ ბელარუსებს აჯობა.

**გივი გაგუა**

**სურათზე: ხათუნა ნარიმანიძე, იულია ლობჟანიძე, ქრისტინე ესებუა.**

**ჭადრაკი**

# საუკეთესოთა ასეულში 10 ქართველია



**მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთა წინა თვის შედეგების გათვალისწინებით ფიდემ ქალ-ვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. საუკეთესო ქალთა ასეულს 2686 პუნქტით სათავეში ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი მოექცა. 15-წლიანი ლიდერობის შემდეგ 2675 პუნქტით მეორე ადგილზე გადაინაცვლა იუდით პოლგარმა (უნგრეთი), რომელმაც აქტიური სპორტული კარიერა შარშან დაასრულა. საუკეთესოთა ათეულში შემდეგ მოდიან:** ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2581), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2570), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2557), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2552), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2530), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2530), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2529), ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2528).

პირველ ასეულში ქართველთაგან, ძაგნიძის გარდა, ასევე, არიან: 14. ბელა ხოტენაშვილი (2513), 25. ლელა ჯავახიშვილი (2481), 30. ნინო ბაციაშვილი (2475), 35. სალომე მელია (2459), 38. ნინო ხურციძე (2457), 94. მერი არაბიძე (2374), 98. სოფიკო გურამიშვილი (2367), 100. მაია ლომინეიშვილი (2362).

ვაჟთა ასეულში ჩვენებურთაგან 47-ეა ბაადურ ჯობავა (2699), საუკეთესოთა ათეული კი ასეთია: მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2863), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2802), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ. 2798), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2798), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2794), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2791), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2790), სოუ ვესლი (აშშ, 2788), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2783), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2770).

**ლაშა დიდია**

# მერვე ადგილით დაკმაყოფილდა

**დამთავრდა ფიდეს მოჭადრაკე ვაჟთა 2014-2015 წლების მსოფლიო გრან პრის მესამე რაუნდი 12 საუკეთესო დიდოსტატის მონაწილეობით. ბოლო მეთერთმეტე ტურში ექვსივე შეხვედრა ყაიმით დასრულდა.** დაზავდნენ: ბაადურ ჯობავა – დმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) – მაქსიმ ვაშიე – ლაგრავი (საფრანგეთი), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) – პიოტრ სვიდლერი (რუსეთი), ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი) – თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი), დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) – რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი), ანიშ გირი (ჰოლანდია) – ლენიერ დომინგესი (კუბა). საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: ევგენი ტომაშევსკი (8 ქულა, მას მთავარი პრიზი – 20.000 ევრო ერგო), დმიტრი იაკოვენკო (6,5), თეიმურ რაჯაბოვი (6), რუსტამ კასიმჯანოვი, ლენიერ დომინგესი, შაჰრიარ მამედიაროვი, ანიშ გირი (5,5-5,5), ბაადურ ჯობავა, მაქსიმ ვაშიე – ლაგრავი, ალექსანდრ გრიშჩუკი (5-5), პიოტრ სვიდლერი (4,5), დმიტრი ანდრეიკინი (4).




სამი რაუნდის შემდეგ გრან პრის სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ევგენი ტომაშევსკი (ორი შეჯიბრების შემდეგ)-252 ქულა, შაჰრიარ მამედიაროვი (3)-235, ფაბიანო კარუანა (2)-230, თეიმურ რაჯაბოვი (3)-210, ჰიკარუ ნაკამურა (2)-207) დმიტრი ანდრეიკინი (3)-200, ბორის გელფანდი (2)-170, დმიტრი იაკოვენკო (2)-170, სერგეი კარიაკინი (2)-157), რუსტამ კასიმჯანოვი (3)-125, ალექსანდრ გრიშჩუკი (2)-122, მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (2)-115, ბაადურ ჯობავა (2)-115, ანიშ გირი (2)-115, პიოტრ სვიდლერი (2)-102, ლენიერ დომინგესი (85).

გრან პრის გათამაშების მე-4 ეტაპს (ჯობავაც ითამაშებს) წლეულს რუსული ხანტი-მანსიისკი უმასპინძლებს.

მესამე ეტაპის დასრულების შემდეგ დედაქალაქის საკრებულოს შენობაში შეჯიბრება საზეიმოდ დაიხურა. გრან პრის მონაწილეებს მიესალმნენ თბილისის მერი დავით ნარმანია, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, მინისტრის პირველი მოადგილე, ევროპის საჭადრაკო კავშირის თავკაცი ზურაბ აზმაიფარაშვილი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე, რომელმაც ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის საქართველოს მთავრობას, დედაქალაქის მესვეურებს, სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას, შეჯიბრების გენერალურ სპონსორ „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ მადლობა გადაუხადა.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: შეჯიბრების მონაწილეები დაჯილდოებისას.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

**ფეხბურთი**

# აქეთურ-იქითური

**XXVI ეროვნული ჩემპიონატი. XVII ტური.** „დილა“ – „ტორპედო“ 2:1, „სიონი“ – „დინამო“ 2:1, „კოლხეთი“ – „ბათუმი“ 0:2, „ვიტ ჯორჯია“ – „სამტრედია“ 0:1, „ზესტაფონი“ – „ჩიხურა“ 2:2, „მერანი“ – „ცხინვალი“ 0:2, „მეტალურგი“ – „ზუგდიდი“ 0:1, „შუქურა“ – „გურია“ 0:2.

**სატურნირო მდგომარეობა:** „დილა“ – 34, „დინამო“ – 32, „ბათუმი“ – 30, „სამტრედია“ – 28, „ცხინვალი“ – 27, „ჩიხურა“ – 26, „გურია“ – 25, „მეტალურგი“ – 23, „მერანი“ – 21, „ზესტაფონი“ – 20, „შუქურა“, „კოლხეთი“, „ზუგდიდი“ – 18-18, „ტორპედო“, „სიონი“ – 17-17, „ვიტ ჯორჯია“ – 13 ქულა.

* * *

**ინგლისი.** „ლივერპული“ – „სიტი“ 2:1, „არსენალი“ – „ევერტონი“ 2:0, „მანჩესტერი“ – „სანდერლენდი“ 2:0.

**ლიგის თასის ფინალი.** „ჩელსი“ – „ტოტენჰემი“ 2:0.

**გერმანია.** „ბაიერნი“ – „კიოლნი“ 4:1, „ვერდერი“ – „ვოლფსბურგი“ 3:5, „გლადბახი“ – „პადერბორნი“ 2:0, „ბორუსია“ – „შალკე“ 3:0, „ლევერკუზენი“ – „ფრაიბურგი“ 1:0.

**იტალია.** „ტორინო“ – „ნაპოლი“ 1:0, „სასუოლო“ – „ლაციო“ 0:3, „ინტერი“ – „ფიორენტინა“ 0:1, „კიევო“ – „მილანი“ 0:0, „კალიარი“ – „ვერონა“ 1:2.

**ესპანეთი.** „რეალი“ – „ვილიარეალი“ 1:1, „გრანადა“ – „ბარსელონა“ 1:3, „სევილია“ – „ატლეტიკო“ 0:0, „ვალენსია“ – „სოსიედადი“ 2:0, „მალაგა“ – „ხეტაფე“ 3:2.



**საფრანგეთი.** „ლილი“ – „ლიონი“ 2:1, „მონაკო“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 0:0, „მარსელი“ – „კაენი“ 2:3.

**გიორგი შოთაძე**

**კრივი**

# სამი „ბრინჯაო“ ერგოთ

**სოფიაში დამთავრდა მოკრივეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებმა სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს:** ნიკოლოზ სეხნიაშვილმა (81), ლევან გულედანმა (91) და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა მიხეილ ბახტიძემ (+91) მერვედფინალში, შესაბამისად, პოლონეიკის კალამარასი (საბერძნეთი), რაჰილ მამადლი (აზერბაიჯანი) და კედი აგნესი (სეიშელი) დაამარცხეს, მეოთხედფინალში თომას ჰარტი (ინგლისი), კევინ მელჰუსი (ნორვეგია) და ალექსეი ზავატინი (მოლდოვა) დაჯაბნეს. ნახევარფინალში სეხნიაშვილმა (უზბეკ ელშუდ რასულოვთან), გულედანმა (უზბეკ რუსტამ ტულაგანოვთან) და ბახტიძემაც (ყირგიზ კამშიბეკ კონაკბაევთან) თავიანთი ორთაბრძოლები წააგეს და მესამე ადგილებს დაყაბულდნენ.



**თამაზ პატარაია**

## სულთათანა

# გურამ მინაშვილი

### ქართული კალათბურთის სიამაყე



ეროვნულმა სპორტულმა სამყარომ უდიდესი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა ქართული სპორტის ლეგენდა, მსოფლიო კალათბურთის უბადლო ოსტატი **გურამ მინაშვილი,** რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა XX საუკუნის კალათბურთის ისტორიაში.

გურამ მინაშვილი დაიბადა 1936 წლის 25 ნოემბერს, თბილისში. 15 წლისამ დაიწყო კალათბურთში ვარჯიში. მისი პირველი მწვრთნელი შალვა დიასამიძე იყო. მალე ნიჭიერი ყმაწვილი საქართველოს მოსწავლე კალათბურთელთა და, შემდეგ კი, ახალგაზრდული ნაკრების წევრი გახდა. იგი შესანიშნავად უთავსებდა ერთმანეთს სწავლასა და სპორტს. გურამმა ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-6 საშუალო სკოლა და იმავე წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

1953 წელს გურამ მინაშვილი თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდში ჩარიცხეს, ხოლო 1958 წლიდან გუნდის კაპიტნობა ჩააბარეს. სწორედ ამ გუნდში განვლო მან თავისი სახელოვანი სპორტული ცხოვრება 1967 წლამდე.

გურამ მინაშვილის პირველი სპორტული ნათლობა საერთაშორისო ასპარეზზე მეტად წარმატებული აღმოჩნდა. 1957 წელს საერთაშორისო ახალგაზრდული თამაშების მეორე პრიზიორი გახდა და იტალიის ქალაქ ბოლონიაში მაირანოს თასის გათამაშებაში საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაიმსახურა. ამ წელს იგი პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი და ეს მაღალი ტიტული კიდევ ორჯერ 1959 და 1963 წლებში მოიპოვა.

1960 წელს გურამ მინაშვილი რომის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი გახდა, 1962 წელს კი თავის მშობლიურ გუნდთან, თბილისის „დინამოსთან" ერთად ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

1963 წელს გურამ მინაშვილი კალათბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი გახდა. წარმოუდგენლად დიდი მასშტაბების სპორტულ წარმატებებს მიაღწია ბატონმა გურამმა, როგორც უმაღლესი კლასის პროფესიონალმა. ამიტომაც მიენიჭა მას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.



1966 წელს გურამ მინაშვილმა წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით და სამეცნიერო-პრაქტიკული ცოდნა კიდევ უფრო გაიღრმავა საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1973 წელს. უფრო მოგვიანებით, იგი სწავლობდა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1989 წელს.

ბატონ გურამს გრანდიოზული გაცილება მოუწყვეს დიდი კალათბურთის სარბიელიდან, მაგრამ მას ერთი წუთითაც არ უცხოვრია სპორტის გარეშე. 1984 წელს იგი დაუბრუნდა თავის მშობლიურ ინსტიტუტს, სადაც ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგედ აირჩიეს. ბატონმა გურამმა ურთულეს წლებში შეძლო ღირსეულად ეტარებინა ეს უმძიმესი ტვირთი 2007 წლამდე.

გურამ მინაშვილის დამსახურება სპორტულ სარბიელზე 1960 წელს „საპატიო ნიშნის" ორდენით აღნიშნეს, ხოლო 1996 წელს მან ერთ-ერთმა პირველმა მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს მაღალი ჯილდო „ღირსების ორდენი". ბატონი გურამის ბიოგრაფიები შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში, საერთაშორისო სპორტულ კრებულში, 1975 წ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ გამოშვებულ ენციკლოპედიაში (1997 წ.), სპორტის საერთაშორისო ენციკლოპედიაში (2006 წ.), ენციკლოპედიაში „თბილისი", ენციკლოპედიურ ცნობარში „ქართული კალათბურთი" (2006 წ.).

ძალიან ძნელია გამოსათხოვარ წერილში ამოწურო სახელგანთქმული სპორტსმენისა და ღირსეული მამულიშვილის გურამ მინაშვილის ლეგენდარული ბიოგრაფია, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის სპორტულ ისტორიას დაამშვენებდა.

– ქართველი ხალხი ამაყობს გურამ მინაშვილით, რომელმაც ქართული კალათბურთის დიდოსტატების ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას და სხვათა სპორტული ტრადიციები გააგრძელა და დიდების შარავანდედით შეამკო ისინი.

– ქართველ ხალხს უსაზღვროდ უყვარდა გურამ მინაშვილი – ლეგენდარული სპორტსმენი, რომელსაც არაერთხელ გაუხარებია კალათბურთის გულშემატკივრები, სპორტის მოყვარულები და მრავალჯერ უსახელებია თავისი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე.

– ქართველი ხალხი განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა გურამ მინაშვილს, რომელმაც დიდი სპორტული კარიერა უხმაუროდ, ყოველგვარი ამპარტავნობისა და ყოყოჩობის გარეშე განვლო და თავისი უბრალოებით კაცთმოყვარეობისა და ერთგულების მაგალითად დარჩა.

ბატონი გურამი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ სიცოცხლის ბოლომდე მუხლჩაუხრელად შრომობდა, იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკალათბურთო კლუბის „სტუ"-ს საპატიო პრეზიდენტი იყო და მისთვის ჩვეულ, მრავალ კეთილ საქმეს აკეთებდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქართველ საზოგადოებასთან ერთად, უდიდესი გულისტკივილით ემშვიდობება ღირსეულ მამულიშვილს.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

# ყოფილი ნარკოლოგიურის შენობა 3 550 000 დოლარად იყიდება

**თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ნარკოლოგიურის შენობა 3 550 000. 00 ამერიკულ დოლარად (8029745.00 ლარი) იყიდება. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ აუქციონი 25 თებერვალს გამოცხადდა და 11 მარტს 17 საათზე დასრულდება.**

ყოფილი ნარკოლოგიური შენობის ტერიტორია მოიცავს 7823.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8 და №9 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობას.

სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა გამოაქვეყნა. გასაყიდი ობიექტების ჩამონათვალში მოხვდა: ბორჯომ-ლიკანის ყოფილი სამთავრობო რეზიდენცია (გარდა სასახლისა); სს „კურორტი ახტალა"; მესტიის რეზიდენცია; წყალტუბოს სანატორიუმები; ყოფილი ნარკოლოგიურის შენობა თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე; „ბათუმი თაუერი"; ათონელის რეზიდენცია; შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია" – 70% წილი; თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი – თბილისი SPS ჯანმრთელობის და რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი; ეროვნული ბანკის ყოფილი შენობა, წყნეთის სამთავრობო აგარაკები და საქართველოს პრეზიდენტის ბობოყვათის ყოფილი რეზიდენცია და ა.შ.

ცნობილია საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში მყოფი „ბათუმი თაუერის" ღირებულებაც. ის 25 მილიონ ამერიკულ დოლარად (56547500.00 ლარად) იყიდება.

მეუღლე ნანა ვადაჭკორია, შვილები თამარ, გიორგი სიმონიშვილები, რძალი ნინო ჭიჭინაძე, სიძე გოჩა ბერიაშვილი, შვილიშვილები ნიკოლოზ, ირაკლი ბერიაშვილები, ნუცა, სანდრო, მარიამ სიმონიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**ვლადიმერ ილიას ძე სიმონიშვილი**

პანაშვიდი 3, 4, III, 17 სთ. მისამართი: დიღმის მასივი III კვ. II კორპ. I სადარბაზო, XI სართული. დაკრძალვა 5 III, 14 სთ. გამოსვენება წმინდა ლაზარეს სახელობის ეკლესიიდან (დიღმის მასივის IV კვ. კინოსტუდიის მიმდებარე ტერიტორია).

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრისა და კოლეგის, ცნობილი ჟურნალისტის

**ვლადიმერ (ვალიკო) სიმონიშვილის**

გარდაცვალებას და გულითადად თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

## ხსოვნა

# რეზო ყაველაშვილი



საქართველოს ენერგომშენებლებმა დიდი დანაკლისი განიცადეს – ჩვენს რიგებს გამოაკლდა სახელოვანი მამულიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი **რეზო ყაველაშვილი**.

დაიბადა 1936 წლის 17 იანვარს ამბროლაურის რაიონის სოფელ ლიხეთში. 1954-59 წლებში ის სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და მისი დამთავრების შემდეგ მიიღო ინჟინერ-მშენებლის სპეციალობა.

რ. ყაველაშვილი 1959-1960 წლებში მუშაობდა „თბილგაზმშენის" ტრესტის სარემონტო-სამონტაჟო სამმართველოს ინჟინრად, 1960-1973 წლებში „თბილსრესის" მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებლად, ენგურჰესის მშენებლობის სამოქალაქო და ბინათმშენებლობისა და ვარდნილჰესების კასკადის სამშენებლო სამმართველოების უბნების უფროსად.

1973-1988 წლებში რ. ყაველაშვილი მოღვაწეობდა ჯერ მთავარი ინჟინრის მოადგილედ, ხოლო შემდგომში ენგურჰესის მაღლივი კაშხლის სამმართველოს მთავარ ინჟინრად და აქ გამოვლინდა მისი არაჩვეულებრივი ნიჭი და საქმისადმი ერთგულება.

დიდია ბატონ რეზოს წვლილი ენგურჰესის მაღლივი კაშხლის დროულ და ხარისხიან მშენებლობაში. მან მთელ კოლექტივთან ერთად საქმისადმი ერთგულება და მონდომება გამოავლინა და სრულიად ღირსეულად მიიღო საქართველოს დამსახურებული ინჟინრის მაღალი წოდება.

1988 წლიდან რ. ყაველაშვილი აგრძელებს მოღვაწეობას „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის ვარციხეჰესის სამშენებლო სამმართველოს უფროსად.

პენსიაზე გასვლის შემდეგ რ. ყაველაშვილს არ შეუწყვეტია თავისი მოღვაწეობა და სიცოცხლის ბოლო დღეებამდე მუშაობდა ამბროლაურის რაიონში მშენებელ-კონსულტანტად მცირე ჰესების ექსპლუატაციის სამმართველოში.

რეზო ყაველაშვილის ხსოვნა და სახელი მარად დარჩება ჩვენს გულებში.

**ნოდარ შარტავა, ანზორ ჭითანავა, იური გუგუჩია, გურამ გუნავა, ოთარ ჭითანავა, მერაბ დავითაია, დოდიკ ქუჩულორია, ვლადიმერ გოგსაძე, ნიკოლოზ დადიანი, ჯონი ჭანია, კარლო შანავა, მურმან ჩაკაბერია.**

ი. ოსიპოვი, ა. გოგელია, გ. ცაგარელი, გ. ჯაიანი, ზ. კუპრაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საუკეთესო მეგობრისა და დიდი სპორტსმენის

**გურამ მინაშვილის**

გარდაცვალების გამო.

გრიგოლ ლუხუტაშვილი, ელგუჯა შაფაქიძე, გივი მოსაშვილი, თემურ გაბიჩვაძე, იუზა ჯიშკარიანი, თამაზ საგინაშვილი, ნოდარ ფირცხალაიშვილი, ნოდარ ტრაპაიძე, ჯამბულ მეგრელიშვილი, შოველი თარალაშვილი, დემურ ქორჩილავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრისა და თანაკურსელის

**ჟიული ანდრიაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა 299-62-77; 568 82-09-84..

### ◉ პატივგება

# მხოლოდ ამ ერთი საღამოსთვის ღირდა სიცოცხლე!

**ჭეშმარიტი პატრიოტობა და საქვეყნო საქმის კეთება არავითარ კავშირში არ არის პარტიულ კუთვნილებასთან. ობლად გაზრდილი ალალი და ჯანსაღი ბიჭი კომკავშირელიც იყო და კომუნისტიც, აქტიური სტუდენტიც და ასპირანტიც, ეკონომისტიც და ისტორიკოსიც, მიწის მუშაც და ხარაჩოზე შემდგარი კირითხუროც, რაიკომის მდივანიც და ქალაქის მერიც, ჟურნალისტიც და რედაქტორიც, ფაზისის საერო აკადემიის თავკაციც.**

**იყო და არის!**

ნუგზარ ნადარაია მართლაც გამორჩეული პიროვნებაა — გულკეთილი და გულფიცხი, სევდიანი და მხიარული, მიმტევებელი და პრინციპული, დამთმობი და შემტევი...

და ბოლოს — ნუგზარ ნადარაია ჭეშმარიტი მართლმადიდებელი და პირველი ცოტნეიდელია. მისი ღვაწლის და კაცურად განვლილი 70-წლიანი ცხოვრების თაობაზე ჩვენმა გაზეთმა ამ დღეებში მოუთხრო მკითხველს, 27 თებერვალს კი, რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მართლაც ნანინანატრი, დაუვიწყარი საღამო გაიმართა. ეს იყო არა ოდენ საიუბილეო შეხვედრა, არამედ ქართული სიტყვისა და თეატრალური ხელოვნების ზეიმი. ნუგზარ ნადარაიას მიესალმნენ აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გია ალიბეგაშვილი, რუსთაველის პრემიის ლაურეატები რევაზ მიშველაძე, ლია სტურუა, საქართველოს სახალხო არტისტები გოგი ქავთარაძე, მურმან ჯინორია, ცნობილი პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი, პროფესორები რამაზ გახოკიძე, რუსუდან წურწუმია, გონელი არახამია, პოლიტოლოგები და საზოგადო მოღვაწენი ბაკურ გულუა, კონსტანტინე გამსახურდია, პოეტი და ლიტერატურამცოდნე ერეკლე საღლიანი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი კლასიკურ-რომაულ ჭიდაობაში რომან რურუა, ცნობილი კომენტატორი და ჟურნალისტი ჯამლეტ ხუხაშვილი, სახალხო არტისტები და კომპოზიტორები ვაჟა აზარაშვილი, მაცაცო სებისკვერაძე, ნუნუ დუღაშვილი, მომღერლები ენრიკო ჯანელიძე, ნუკრი კაპანაძე, ბორის ბედია და სხვ. იუბილარს მიესალმნენ დელეგაციები აჭარიდან, კახეთიდან, რაჭიდან...

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ ჩამოთვლილი საზოგადოება, ნამდვილი ქართული ელიტა დაუვიწყარ საღამოს შექმნიდა... ამიტომაც ვთქვით, რომ თუნდაც ამ ერთი საღამოსთვის ღირდა სიცოცხლე...

იუბილარმა ნუგზარ ნადარაიამ გულწრფელი მადლობა გადაუხადა შეკრებილთ... ჩვენ კი დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ დღესაც ჭაბუკური ენერგიით და საქვეყნო საქმის მოვარგება-მოჭირნახულებით გულანთებულ კაცს.

**ცოტნე აბაშიძე**

**პაციენტთა საყურადღებოდ!**

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 5 მარტს**

### ◉ გაითვალისწინეთ!

# აქტიური პროცესები მარტში

**მარტში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 3-5, 8, 12-15, 19-23, 27, 30 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ფორმირება, ყველა სახეობის ავარიულობის გაზრდა, სეისმოაქტივობისა და სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება.**

**3 — მთვარის შეერთება იუპიტერთან ლომში.** შესაძლებელია სახსრების, გულის, ხერხემლის, ზურგის კუნთების დაავადებანი, არითმია. აუცილებელია დავიცვათ დიეტა, გამოვრიცხოთ ცხარე, ცხიმიანი საკვები და ალკოჰოლი, უარი ვთქვათ სიმძიმეების გადატანასა და ფიზიკურ დატვირთვაზე.

**5 — სავსე მთვარე. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები.** მოსალოდნელია აგრეთვე ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, ემოციური აღგზნება, უძილობა, არტერიული წნევის ვარდნები. არ არის სასურველი გავიკეთოთ ოპერაციები, აცრები, მივიღოთ ალკოჰოლი.



**6 — მთვარის შეერთება სატურნთან მშვილდოსანში.** შესაძლებელია ნერვული ჩავარდნები, ტკივილები სახსრებში, ფილტვების, ღვიძლის დაავადებანი. უნდა ვერიდოთ გაცივებას, გადატვირთვას, სიმძიმეების აწევას. ღვიძლის შენარჩუნებისთვის ჯანსაღ მდგომარეობაში აუცილებელია დიეტური კვება, უარის თქმა ალკოჰოლზე. სასარგებლოა სუნთქვითი ვარჯიშები, მასაჟი, გასეირნება სუფთა ჰაერზე.

**13 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, მერკური გადადის თევზების ნიშანში.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია ბრონქული ასთმის, ნაღვლის ბუშტის დაავადებანი. საჭიროა უარი ვთქვათ ცხარე და ცხიმიან საკვებზე, ვერიდოთ გაცივებას. ხელსაყრელი დროა წამოწყებული საქმეების დასრულებისთვის, გასეირნებისთვის სუფთა ჰაერზე.

**15 — მთვარის პლუტონთან შეერთება თხის რქაში.** მოსალოდნელია გაცივებითი დაავადებანი მაღალი ტემპერატურით, პრობლემები კანთან და კბილებთან დაკავშირებით. არ არის გამორიცხული საშარდე და სასქესო სფეროების დაავადებანი. ერიდეთ დაცემას, სხეული იქონიეთ სითბოში, ნუ ასწევთ სიმძიმეებს. არ შეიძლება გადავტვირთვოთ სახსრები ინტენსიური ფიზიკური ვარჯიშებით.

**19 — მთვარის ნეპტუნთან და მერკურთან შეერთება თევზებში.** გაზრდილია ავარიული და ტრავმასაშიში სიტუაციების საფრთხე. არ არის გამორიცხული ინფექციურ დაავადებათა, ალერგიულ რეაქციათა ალბათობა. სასურველია, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ყავაზე, მოწევაზე. სასარგებლოა კონტრასტული შხაპი, ტერფების მასაჟი, მსუბუქი გასეირნება, ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები. სასურველია, გადავდოთ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა.

**20 — ახალი მთვარე, მზის დაბნელება.** მზის დაბნელების დღე რეკომენდებულია გავატაროთ მშვიდ, კეთილსასურველ ვითარებაში, სტრესებისა და მღელვარების გარეშე. შესაძლებელია თავის ტკივილები, თავბრუსხვევა. იმუნიტეტი დაქვეითებულია. არ არის რეკომენდებული წამოვიწყოთ ახალი საქმეები, ჩავიტაროთ ოპერაცია, აცრები, სახიფათოა ალკოჰოლი და აღმგზნები საშუალებები, სასარგებლოა გასეირნებები სუფთა ჰაერზე.

**21 — მზე გადადის ვერძის ნიშანში, მთვარის ურანთან შეერთება ვერძში.** შესაძლებელია ინფექციური დაავადებანი, უძილობა, ციებ-ცხელება. ერიდეთ იმპულსურ მოქმედებებს, მკვეთრ მოძრაობებს, დაასვენეთ თვალები. სასურველია, უარი ვთქვათ ცხარე და ცხიმიან საკვებზე, ყავაზე, შოკოლადსა და ალკოჰოლზე. სასარგებლოა ფიზიკური ვარჯიშები, გასეირნება, გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

**23 — მთვარის ვენერასთან შეერთება კუროში.** რისკის ზონაშია კისერი, ფარისებრი ჯირკვლები, ყელ-ყური, ფილტვები. არ არის გამორიცხული თირკმლებისა და შარდსასქესო სფეროების დაავადებანი. გაზრდილია გაციების, ანგინის, საკვებით მოწამვლის საფრთხეები. რეკომენდებულია ვერიდოთ გაცივებას, უხარისხო პროდუქტებით კვებას. ხელსაყრელი დროა ფინანსური გარიგებებისთვის, შემოქმედებისთვის, მეგობრული შეხვედრებისთვის, ხელოვნებით გატაცებისთვის.

**27 — მთვარის პირველი მეოთხედი.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. იზრდება ინტუიცია, ემოციურობა, მგრძნობელობა და წყენინება. მთვარე განსაკუთრებით ძლიერ გავლენას ახდენს ქალებზე. მოსალოდნელია სარძევე ჯირკვლებთან, ღვიძლთან დაკავშირებული და ნაღვლის ბუშტის პრობლემები. არ არის გამორიცხული საკვების გადამუშავების სირთულეები და შეშუპებანი. რეკომენდებულია უარი ვთქვათ სპირტიან სასმელებზე, ცხარე და მარილიან საკვებზე, საჭიროა, დავიცვათ დიეტა. ხელსაყრელი დროა დასვენებისთვის, ოჯახური სიმყუდროვის შექმნისთვის.

**30 — მთვარის შეერთება იუპიტერთან ლომში.** შესაძლებელია ტკივილები ზურგში, კანის დაავადებანი, უძილობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ გულსა და სისხლძარღვებს. ერიდეთ სტრესებს, უარი თქვით გადაჭარბებულ ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვებზე, დაიცავით დიეტა. სასარგებლოა მსუბუქი გასეირნება, სრულფასოვანი ძილი.

### ◉ ცინცხალი ანეკდოტები

**ქვეყანაზე** არც ოპტიმისტები არსებობენ, არც პესიმისტები — არიან მხოლოდ იდიოტები, რომელთაგან ზოგი მხიარულობს, ზოგიც მოწყენილია.

* * *

**რამდენად** დასაშვებია დემოკრატიულ საზოგადოებაში აკრძალვები?

* * *

— **ერთი** გოგო გყავს ჭიჭიკია, მეტი არა?

— რა ვქნა, ბატონო, ჩემი პატიოსანი შრომით მეტი ვერ შევძელი!

* * *

— **ვის** ეუბნები შენ მაგას, ხომ არ გაგიჟებულხარ? მე შენ ვიღაც უბრალო წესიერი ქალი ხომ არ გგონივარ?

* * *

— **შაქრო,** ჰა და ჰა, ხო იცი, დღე-დღეზე უნდა ვიმშობიარო!

— ეგ, როგორ, დედაკაცო? სულ სამი თვე არ არის რაც შაგირთე?



— ეგრეა, ჰო, კაი, მანამდეც სამი თვე ისეებსა ვშვრებოდით. ჰოდა, გენავ, სკოლაში არითმეტიკაი კარგა უნდა გესწავლა! განა სამჯერ სამი ცხრა არ არის? შენ თვითონ დაითვალე, თუ ჩემი არ გჯერა!

* * *

— **რაფერ** ხარ, ძამა?

— აი, შენ, როგორ იქნებოდი, მაგალითად, ამ პაპანაქებაში, უსამსახუროდ, უფულოდ და შენნაირი ვინმე რომ გეკითხებოდეს „რაფერ ხარო“?

* * *

— **ვისი** ხარ შენ ბიძიკო, ამხელა ცხვირო რომ გაქვს? ვინაა მამაშენი, ვინ იღვაწა შენს შესაქმნელად, ვინ ღვარა ოფლი, ვინ ჩადგა შენს ცოდვაში?..

* * *

— **მიხო,** რა გინდა გამოხვიდე რო გაიზრდები?

— მე მინდა კინოვარსკვლავების და ტოპ-მოდელების გინეკოლოგი ვიყო, მაშა!

### ◉ კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24